



გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

სამშაბათი, 7 აპრილი. 2020 წ. №54 (8980)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

„ვირუსის შეკავების მხრივ, საქართველო იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მთავრობები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სწავლობენ, როგორ შეძლო ამ პატარა ქვეყანამ კავკასიაში COVID-19-ის გავრცელების ასეთი წარმატებით გაკონტროლება“, – წერს გამოცემა „Emerging Europe“ სტატიაში, სათაურით „კორონავირუსის სასწაული საქართველოში: ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა“.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, განსაკუთრებულ ოვაციებს იმსახურებს ბოლო კვირების განმავლობაში ქვეყნის წარმატებული პასუხი კორონავირუსის პანდემიაზე.

„სწრაფმა და გადამწყვეტმა მოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საქართველოს მთავრობამ ქმედითი ზომები მიიღო, როგორც

## კორონავირუსის სასწაული საქართველოში

კი 26 თებერვალს ქვეყანაში დადასტურდა კორონავირუსის პირველი შემთხვევა (ირანიდან ახლახან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქე). იმავე დღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარია სიტუაციის კონტროლის მიზნით შექმნა კორონავირუსის საკითხზე მომუშავე უწყებთაშორისი საბჭო, რომ-

ლის პირველი გადაწყვეტილებაც გახლდათ ირანთან ფრენების შეჩერება. 24 საათზე ნაკლებ დროში საბჭომ ყველა სამინისტროს მისცა დავალება კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

28 თებერვალს მეორე შემთხვევის დადგენის შემდეგ (ქვეყანაში ახლახან დაბრუნებული ქალი) შეჩერდა ფრენები იტალიასთან. 29 თებერვალს, მესამე შემთხვევის დაფიქსირების შემდეგ, მთელ ქვეყანაში შეჩერდა სწავლა. მალევე შემოიღეს მკაცრი საკარანტინო ზომები, მათ შორის კომენდანტის საათი და საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერება, თბილისის მეტროს ჩათვლით. მას შემდეგ არარეზიდენტ უცხოელ მოქალაქეებს ეკრძალებათ ქვეყანაში შემოსვლა. საზღვრები ღიაა მხოლოდ სატივრო მანქანებისთვის (თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს მოთხოვნა, რომ მძღოლები ვირუსის მაღალი რისკის ქვეყნებიდან ჩაანაცვლონ მძღოლებმა ქვეყნებიდან, რომლებიც არ არიან „რისკის ჯგუფში“). 20 მარტს შეჩერდა ყველა ფრენა“, – წერს გამოცემა.



## გილოსავთი სარკბას ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა

ტროპარი: დღეს ცხოვრებისა ჩუენისა თაფი არს, და საუკუნითგან დაფარულისა მის საიდუმლოდსა გამოცხადებად, რამეთუ ქე ღმრთისაჲ ქედ ქალწულის იწოდების, და გაბრიელ ახარებს მადლსა მას, რომელსა ჩუენცა ჴმამაღლად უღალადოთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

**რას უნდა მოახსაროს მთავრობამ 2 მილიარდი ლარი, რომ ეკონომიკა არ ჩამოიშალოს? ③**

**ღელაქინაზე ბევრი წარღვნა იყო, მაგრამ აღაქინებს ხანმოკლე მესხიერება აქვთ და აკინყდებათ! ④**

**„აკადემიური წლის“ გამოცხადება კორონავირუსზე არანაკლები საფრთხეა! ⑨**

**ბორის ჯონსონ, გააბრდიო!**

სალომი ზურაბიშვილი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს სწრაფად გამოჯანმრთელებას უსურვებს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონს სწრაფად გამოჯანმრთელებას უსურვებს და ქართველი ხალხის სახელით ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომას უცხადებს.

„ამ გაჭირვების ყაშს, გიერთდებით მაღლიერების გამოხატვაში იმ ხალხის მიმართ, ვინც COVID-19-ს სახლში დარჩენით ებრძვის. ბორის ჯონსონ, გამაგრდიო! ვირუსის წინააღმდეგ თქვენს პირად ბრძოლაში საქართველო თქვენ გვერდით დგას. გისურვებთ გამძლეობასა და მალე გამოჯანმრთელებას“, – წერს საქართველოს პრეზიდენტი „ტვიტერის“ საშუალებით.

**ფოთი და ანაკლია: კონკურენსია მოგაკლის წინააღმდეგ? ⑦**

**მივმართავ მოწმუნე ქრისტიანებს, დავიძვავთ ჩვენი დედა ეკლესია, დავიძვავთ მღვდელმთავრები ეკლესიაში არმისვლით, სახლში ლოცვით, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ პაატამ იმნაძემ განაცხადა. როგორც იმნაძემ აღნიშნა, ეკლესიის კარი ვერ დაიკეტება და იქ იქნებიან მამაოები, რომლებიც ილოცებენ ყველასთვის.**



### გიორგი გახარია: ახლა მთავარი ამოცანაა, ნელ-ნელა მსუბუქი შემთხვევებისას სხლის პირობებში მართვისთვის მოვამზადოთ



#### მოვამზადოთ

„2020NEWS“-ის ექსკლუზიური ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებიც კორონავირუსით დაინფიცირდნენ, რთულია. მათი რიცხვი ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში კატასტროფულად გაიზარდა. როგორც ქართველმა ემიგრანტმა, ქართული დიასპორის საერთაშორისო კოალიციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ინა ასანიძემ „2020NEWS“-ს განუცხადა, საგანგებოდ შექმნილ კრიზისების ცენტრში ამ დროისთვის კორონავირუსით ინფიცირებული საქართველოს მოქალაქეების შესახებ საგანგაშო მონაცემებია შესული: „ჩვენ ვინც დაგვიკავშირდა და ვინც იცის ჩვენს შესახებ, მოგვანოდა ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ. ვითარება ძალიან დამძიმდა ბოლო 3-4 დღის განმავლობაში. ამ დღით 130 ინფიცირებულის შესახებ გვექონდა ინფორმაცია, ამ დროისთვის მათი რიცხვი უკვე 200-ია. არ ვიცი, რამდენი იქნება თუნდაც რამდენიმე საათში, ზარები არ წყდება. ისინი ითხოვენ დახმარებას, მათი მდგომარეობა საკმაოდ რთულია. სამწუხაროდ, 200 ადამიანიდან 25 ინფიცირებულის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. მათგან 7 ადამიანის ჰოსპიტალში გადაყვანა მოვახერხეთ და ამ წუთებშიც ვეძებთ ადგილებს საავადმყოფოში, რომ მათი გადაყვანაც მოვახერხოთ, რადგან ჰოსპიტ-

ლებში ადგილები შეიძლება ითქვას, რომ აღარ არის. რას და როგორ მოვახერხებთ, არ ვიცი, ჯერ ვერ გეტყვი“, - აცხადებს ინა ასანიძე. მისივე თქმით, კორონავირუსით ინფიცირებული შორის 60 წელს გადაცილებული ადამიანები არიან, თუმცა მძიმე პაციენტებს შორის რამდენიმე 40 წელს გადაცილებული ქალბატონია. ინა ასანიძე ვარაუდობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი საქართველოს მოქალაქეების რიცხვი, ვისაც შესაძლოა დადასტურებული კორონავირუსი ჰქონდეთ, გაცილებით მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე კრიზისების ცენტრში არსებული მონაცემებია.

„ბევრმა არ იცის ჩვენს შესახებ, გვიან გაიგეს. 5 დღით ადრე რომ მოემართათ, ასეთი მძიმე მდგომარეობა არ იქნებოდა, ახლა ყველაფერი გართულდა. 24-საათიანი რეჟიმში ვმუშაობთ და როგორ განვითარდება პროცესები, არ ვიცი. მივმართავ ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს, 8882328855 - ეს არის ჩვენი ცხელი ხაზი. დაგვიკავშირდით, რომ თქვენი დახმარება შევძლოთ. არ დამალოთ თუ ინფიცირებულები ხართ, ავადმყოფობა სირცხვილი არ არის“, - აცხადებს ინა ასანიძე.

### ალსრულაგის პიროვნულად გიურგო მუშაობა ელექტრონული ნაშთი განაახლა



„იუსტიციის სამინისტრო მუშაობდა იმაზე, რომ ჩვენი სისპ-ების, რეესტრების და სხვა საჯარო მომსახურების გაცემა განახლებულიყო. დიდიდან აღსრულების ეროვნული ბიურომ მუშაობა ელექტრონული, დისტანციური წესით განაახლა. ერთადერთი, რასაც საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე და ვირუსის აღმოფხვრამდე აღსრულების ეროვნული ბიურო ვერ განახორციელებს, პირველ რიგში, ეს არის გამოსახლებები, ვინაიდან ეს საცხოვრის ადგილზე მისვლას უკავშირდება. სხვა დანარჩენი სერვისები უკვე გაიხსნა. ამისათვის საჭიროა, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ელექტრონული ფოსტით ან ფეისბუქით მიმართოთ. ინფორმაციის მიღება კი ცხელ ხაზზე იქნება შესაძლებელი. აღსრულების ეროვნული ბიურო გამართული საქმიანობის პირობებში იმუშავებს ასლებით, ხოლო თუ დედანი დოკუმენტის მიტანა გახდა საჭირო, შეიქმნება სპეციალური ადგილები, სადაც მოქალაქეები ამ დოკუმენტებს ბიუროს თანამშრომელთან კონტაქტის გარეშე დატოვებენ“, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

### პირველ მაისამდე ე.წ. მატროსოვის სიხის ლიკვიდაცია მოხდება

ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, №9 საპატიმროში მყოფი ყველა პირი რუსთავის №12 და №16 პენიტენციურ დაწესებულებების ტერიტორიაზე არსებულ რეაბილიტაციულ შენობებში გადაიყვანეს.

„ე.წ. მატროსოვის შენობა, ვინც ამ შენობას იცნობს, არის ძალიან მოძველებული, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში და ამას პირველ რიგში, თავად პატიმრები იტყვიან ან ისინი, ვინც იქ ერთხელ მაინც ყოფილა, თუნდაც ადვოკატის სტატუსით შესული. შარშან უკვე დაგეგმეთ ამ ციხის ლიკვიდაცია, როგორც მოძველებული ინფრასტრუქტურის, სწორედ პატიმრების ინტერესიდან და ადამიანის უფლების პრიორიტეტიდან გამომდინარე. რუსთავში №12 და №16 პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ჩაუტარდა შესაბამის კორპუსს, რომელიც არის თანამედროვე სტანდარტის და გაცილებით უკეთესია, შედარებაც არ შეიძლება №9 დაწესებულებასთან. გუშინ მოხდა ეტაპირება, ყველა მსჯავრდებული თუ ბრალდებული, ვინც №9-ში იმყოფებოდა, ორ ეტაპად იქნა გადაყვანილი ახალ კორპუსში. მარტის ბოლოს გამოცემულია იუსტიციის მინისტრის ბრძანება №9 დაწესებულების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, რომელიც 1 მაისს უნდა დასრულდეს“, - განაცხადა წულუკიანმა.

## კორონავირუსით ინფიცირებული საქართველოს 25 მოქალაქე აშშ-ში მძიმე მდგომარეობაში

სეზონის ცენტრში არსებული მონაცემებით, „ბევრმა არ იცის ჩვენს შესახებ, გვიან გაიგეს. 5 დღით ადრე რომ მოემართათ, ასეთი მძიმე მდგომარეობა არ იქნებოდა, ახლა ყველაფერი გართულდა. 24-საათიანი რეჟიმში ვმუშაობთ და როგორ განვითარდება პროცესები, არ ვიცი. მივმართავ ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს, 8882328855 - ეს არის ჩვენი ცხელი ხაზი. დაგვიკავშირდით, რომ თქვენი დახმარება შევძლოთ. არ დამალოთ თუ ინფიცირებულები ხართ, ავადმყოფობა სირცხვილი არ არის“, - აცხადებს ინა ასანიძე.

## დავით ზალკალიანი: უსხოთიდან საქართველოს მოქალაქეების ჩამოსაყვანად რეისები ბარსელონა და პარუბიდანაშ უსრულდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი აცხადებს, რომ უცხო ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეების დასაბრუნებლად კიდევ ორი რეისი დაინიშნა.

„ჩვენ უკვე განვახორციელეთ რამდენიმე რეისი ავიაკომპანია „საქართველოს ავიასაზებთან“ ერთად და ვმუშაობთ ასევე შემდგომ ეტაპობრივ გამოყვანაზე ჩვენი მოქალაქეების. როგორც უკვე საზოგადოებას ვაუწყებ, უახლოესი ფრენების განრიგი არის შემდეგნაირი, 7 აპრილს განხორციელდება ფრენა თბილისი-ათენის მიმართულებით, 10 აპრილს თბილისი-ლარნაკას მიმართულებით, 12 აპრილს, თბილისი-ბერლინი-თბილისის მიმართულებით, 14 აპრილს თბილისი-ამსტერდამი-თბილისის მიმართულებით. ეს არის ის რეისები, რომლებიც უკვე იყო დაანონსებული და რომელზეც დაინწყება ორი დღით ადრე ბილეთების გაყიდვა. ეს იქნება ჯანდაც-

ვის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისად. ჩვენ ამ მიმართულებებიდან ეტაპობრივად დავაბრუნებთ ჩვენს მოქალაქეებს. ჩვენ გამოაცხადეთ სამი ახალი მიმართულება, ეს გახლავთ 16 აპრილს თბილისი-პარიზი-თბილისი, 18 აპრილს თბილისი-თელავი-თბილისი და 21 აპრილს თბილისი-რომი-თბილისი. ჩვენი კონსულტაციების შედეგად კიდევ ორი ახალი მიმართულება დაემატება. 24 აპრილს და 27 აპრილს განხორციელდება თბილისი-ბარსელონა-თბილისის მიმართულებით და ასევე თბილისი-ვარშავას მიმართულებით. ეს ფრენებიც განხორციელდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წესების შესაბამისად. ბილეთები გაიყიდება ორი დღით ადრე და ბუნებრივია, ჩვენ მომავალშიც ვაგაგრძელებთ ჩვენი მოქალაქეების დაბრუნებას“, - განაცხადა დავით ზალკალიანმა.



მისივე თქმით, დღეისათვის 5 ათასამდე მოქალაქეა დაბრუნებული სამშობლოში.

## შიდა ტურიზმი შეიძლება უფრო მალე განვითარდეს, როგორც კი ჩვენ შევძლებთ, რომ ვთქვათ უსაფრთხოდ ვართ და მოვერეით ამ გამოწვევას საქართველოში, მაგრამ ძირითადი კონტრიბუტორი ტურიზმის განვითარებაში იყო საერთაშორისო ტურიზმი, უცხოელი მოგზაურები და აქედან გამომდინარე, ეს არის მრავალმხრივი პროცესი, რომელიც მართლაც ჩვენზე და ჩვენს ქმედებებზე არ არის დამოკიდებული, - ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.

როგორც ნათია თურნავამ აღნიშნა, გლობალური კრიზისის ზეგავლენა დაინფო ტურიზმიდან და ტურიზმიდან დაკავშირებული ინდუსტრიებით, მაგრამ დღესდღეობით მნიშვნელოვანია, თუ რა ზარალს განიცდის ეკონომიკა.

„სხვადასხვა მოლოდინები, სხვადასხვა პროგნოზები ქვეყნდება, აზრის განვითარების ბანკის პროგნოზით ზრდა არ იქნება, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოაქვეყნა ამჯერად პროგნოზი, რომ - 4 (მინუს) პროცენტი იქნება მშპ-ის ზრდა. მე უზრალოდ დიდი იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ყოველთვის კონსერვატიული მსაჯულება და ჩვენ ყოველთვის ვაოცებდით იმით, რომ მოსალოდნელზე უკეთესი შედეგები გვექონდა, თუმცა ამ ვითარებაში, ძალიან რთული იქნება ასეთი პროგნოზის გაკეთება, რადგან დამოკიდებული ვართ ჯერ ეს ერთი გლობალურ ვითარებაზე, გლობალურ ზაზარზე მიმდინარე ვითარებაზე და ასევე მთლიანობაში იმაზე, თუ როდის მოერევა მსოფლიო ამ გამოწვევას. მთლიანობაში ზარალობს

ეკონომიკა, ზარალობს ბიზნესექტორი და სწორედ ამიტომაც, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ერთი - გავანეიტრალიოთ და შევარბილოთ ეს ნეგატიური ზემოქმედება მოსახლეობაზე და ბიზნესზე. რაც შეიძლება შევამოკლოთ და გავხადოთ უფრო მოკლე და ეფექტური ვირუსთან ბრძოლის პერიოდი, რადგან ყველაზე მძიმე, აი ბიზნესების იძულებითი გაჩერების პერიოდი მაქსიმალურად მოკლე იყოს და ასევე, ვმუშაობთ პრემიერ-მინისტრის დავალებით, პოსტ-კრიზისული ბიზნესის აღორძინების, ეკონომიკის აღორძინებისა და სტიმულირების გეგმაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს პირველივე მომენტიდან, როგორც კი ძირითადი საფრთხე გადაივლის, ჩვენ შევძლოთ და ავალორძინოთ, ამოვქოქოთ ჩვენი ეკონომიკა“, - განაცხადა ნათია თურნავამ.

# რას უნდა მოახმაროს მთავრობამ 2 მილიარდი ლარი, რომ ეკონომიკა არ ჩაიშალოს?

ხელისუფლებამ ეკონომიკის სტიმულირებისთვის 2 მილიარდი ლარი გამოყო, მაგრამ პრიორიტეტები ჯერ არ განუსაზღვრავს. რას მოხმარდება მომავალში თანხა, მოგვიანებით გაირკვევა. მანამდე კი ბიზნესმენები და სპეციალისტები რამდენიმე ძირითად მიმართულებას ასახელებენ.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიაჩნიათ ფერმერთა ასოციაციაში. მისი ხელმძღვანელი ნინო ზამბახიძე ფიქრობს, რომ უნდა გაძლიერდეს ის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიმართულებით არსებობს.

„ძალიან მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ის პროექტები, რომელიც არსებობს პროექტების მართვის სააგენტოში და იმავდროულად, დამატოს პროექტები, როგორც არის ერთნაირი კულტურების წარმოება, რაც შექმნის სწრაფ ეფექტს და მოგვცემს იმის საშუალებას, რომ შევამციროთ იმპორტი ქვეყანაში. ვფიქრობ, ექსპორტისგან სხვა ქვეყნებში შეიკავებენ თავს თავიანთი სასურსათო უსაფრთხოებიდან გამომდინარე. აუცილებელია, უფრო მეტი ფერმერისთვის გახდეს ხელმისაწვდომი ის პროექტები, რომლებიც აქამდე მიმდინარეობდა“, — აცხადებს ნინო ზამბახიძე.

როგორ დაეხმარება ხელისუფლება კორონავირუსის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა ბიზნესს ამაზე საკუთარი მოსაზრებები აქვს. რესტორატორთა ასოციაცია ძირითადად პოსტკრიზისულ პერიოდზე აკეთებს აქცენტს. შოთა ბურჯანაძე ამბობს, რომ არც ერთ ბიზნესს არ აქვს იმდენი დანაზოგი, რომ მაგალითად, 6 თვის შემდეგ ნულიდან დაიწყოს მუშაობა, ამიტომ გამოყოფილი 2 მილიარდი ლარი სწორედ ამ პერიოდისთვის უნდა იყოს განსაზღვრული.

„ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს გასტანს ეს მდგომარეობა და როდის დადგება პოსტკრიზისული მდგომარეობა, იქნება ეს 2-3 თუ 6 თვე? აქედან გამომდინარე, იქნება განსახილველი, რა დახმარება სჭირდება ბიზნესს.

დღეს პრობლემა ის, რომ ბიზნესს ისევე და ისევე გადასახდელი აქვს კომუნალური გადასახადები და ასევე პრობლემურია სურსათი, რომელიც გაუფუჭდა სასტუმროებისა და რესტორნების ნაწილს, თუმცა, ეს მაინც შედარებით უმნიშვნელო პრობლემებია.

უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი, როცა ეს თანხა უნდა დაიხარჯოს, არის პოსტკრიზისული პერიოდი. არსებულ სიტუაციაში ზოგიერთმა შეიძლება 2-3 თვე გაძლოს, მაგრამ ვერავინ გაძლებს ისე, რომ 6 თვის შემდეგ ნულიდან დაიწყოს ოპერირება. ყველას მინუსიდან ექნება დასაწყისი“, — განუცხადა „ბიზნეს მედიას“ ბურჯანაძემ.

ისევე როგორც მენარმეები, ეკონომისტებიც ფინანსებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე ამახვილებენ ყურადღებას.

ანალიტიკოსი ვახტანგ ჭარბია იმ მიმართულებებზე საუბრობს, რომელიც სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს. აუცილებელია დახმარება როგორც სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი წარმოების, ასევე იმ ბიზნესსუბიექტებისთვისაც, რომლებმაც დიდი სოციალური პასუხისმგებლობა გამოიჩინეს.

„პირველ რიგში, სოფლის მეურნეობას უნდა დაუჭირონ მხარი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს პირდაპირი ზიანი ნამდვილად არ მისდგომია კორონავირუსის შედეგად. ეს იქნება პროგრესზე ორიენტირებული მხარდაჭერა. რაც შეეხება კომპანიებს, რომლებიც დაზარალდნენ, გარკვეული კრიტერიუმები უნდა მიუყვინონ. აქედან ორი მნიშვნელოვანი: პირველი — რა მოცულობით დაზარალდა და რა შესაბამისი პრიორიტეტი



უნდა მიენიჭოთ მათ, ვისაც მეტი ზარალი აქვს. მეორე — მხედველობაში მივიღოთ კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა. იმ კომპანიებმა, რომლებმაც შეძლებისდაგვარად დიდი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს, როგორც სახელმწიფოს, ასევე საკუთარი თანამშრომლების მიმართ, მეტი დახმარებაც უნდა მიიღონ.

განსაკუთრებული პირობები დაუნესდეთ მათ, ვინც შეძლო და საკუთარ თანამშრომლებს არ შეუჩერა ხელფასების გადახდა. ასეთ კომპანიებს შეიძლება შეუმსუბუქდეს ან საერთოდ გაუუქმდეს საშემოსავლო გადასახადი“, — აღნიშნა ჭარბიამ.

ამ მოსაზრებას ემხრობიან ბიზნესმენებიც. მათი აზრით, შეღავათი ისეთ კომპანიებზე უნდა გავრცელდეს, რომლებიც ხელფასებს გასცემენ. „ჯი დი ჯი ჯგუფის“ დამფუძნებლის ბაქან წამბაძის აზრით, საქართველოს მთავრობის მხრიდან სწორედ ეს იქნება ბიზნესის სტიმულირება.

„ჩემი აზრით, საშემოსავლო გადასახადები უნდა გადაუადონ იმ კომპანიებს, რომლებიც ხელფასებს გასცემენ. მოგების, საშემოსავლოს თუ დააბრუნებენ ძალიან კარგი იქნება. მას შემდეგ, რაც ესტონური მოდელი ამოქმედდა, მოგების რეინვესტიციას ვაკეთებ და ბიზნესის განვითარებას ცდილობ. ასლა სულ სხვაგვარი ვითარებაში აღმოჩნდა ქვეყანაც და ეკონომიკაც“, — განაცხადა ბეჟან ნაქაძემ.

ეკა ბაძრაძე

## მედიკოსების ინფიცირება კიდევ მოხდება, ამის თავიდან ასწორება შეუძლებელია



დაბრუნებულ კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის პაბლო იმბაძის განცხადებით, მედიკოსების ინფიცირების შემთხვევები, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოშიც დაფიქსირდა.

მისივე თქმით, მედიკოსონალი ინფიცირების რისკის ქვეშაა და ასეთი შემთხვევები კიდევ მოსალოდნელია.

„რაც შეეხება მედიკოსონალის დაინფიცირებას, ჩვენ ვიცით სამწუხარო რეალობა, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაში, და ეს გასაგებია არის, მედიკოსონალის დაინფიცირების რისკის ქვეშ, ამიტომ ჩვენთანაც მედიკოსონალის დაავადების შემთხვევები გვაქვს. მათ შორის არის, როგორც დამხმარე სამედიცინო პერსონალი, ასევე — ექიმები, საშუალო მედიკოსონალი, ექთანები. ეს კიდევ მოხდება, რადგან ყოველთვის ძალიან ძნელია ხოლმე ყველა იმ წესის ზედმინვნით დაცვა, როდესაც მით უმეტეს გადაღლილია თანამშრომელი მუშაობით და ოდნავი დარღვევაც კი პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენებაში შეიძლება გახდეს ინფიცირების წყარო. სამწუხაროდ, ამის თავიდან აცილება შეუძლებელია“, — განაცხადა პაბლო იმბაძემ.

## სადეზინფექციო საშუალებებით დაზარალებული დედაქალაქის ქუჩების დათხრობა გრძელდება

სადეზინფექციო საშუალებებით, ამჟამად, ნერეთლის გამზირი მოირეცხა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, სადეზინფექციო საშუალებებს შპს „თბილისერვის ჯგუფი“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ერთობლივად ახორციელებენ.

მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე „თბილისერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელ რომეო მიქაუტაძესთან და დიდუბის გამგებელ ირმა ზავრადაშვილთან ერთად გაეცნო. გზის საავალი ნაწილისა და ტროტუარების მორეცხვის სამუშაოები „თბილისერვის ჯგუფის“ თანამშრომლების მიერ სპეციალური ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება. პროცესში ასევე, ჩართულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ბრიგადები.

სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით დედაქალაქის ქუჩები ეტაპობრივად მუშავდება. დეზინფექცია თავდაპირველად, პეკინის გამზირს, კოსტავასა და მელიქიშვილის ქუჩებს, შემდეგ „ჰუალინგის“ დასახლების მიმდებარე ტერიტორიას, ასევე, საბურთალოს რაიონში, ქავთარაძის ქუჩას და ყაზბეგის გამზირს, ხოლო გლდანის რაიონში, ბოჭორიშვილის (ბაზრის), ნანეიშვილის, კეცხოველისა და ჯაბიძის ქუჩებს ჩაუტარდა. სპეციალური ხსნარით მოირეცხა, როგორც გზის საავალი ნაწილი, ასევე, ტროტუარები და ველობილიკები. პარალელურად, გასუფთავდება და დეზინფექცია ჩაუტარდება ქალაქში არსებულ ხიდებს, პანდუსებსა და ნაგავსამკრებ კონტეინერებს.



## როგორ სრულდება სამედიცინო სექტორის რეკონსტრუქცია

პარასკევს ჩვენ მოვითავსებ სხვადასხვა ბიზნესექტორზე მორგებული აპლიკაციები ეკონომიკის სამინისტროს საიტზე. ძალიან აქტიურობს ბიზნესი უნდათ რომ დროულად დაუბრუნდნენ მუშაობის ჩვეულ რიტმს. მერწმუნეთ ჩვენც იგივე გვინდა — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის შემდეგ, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. თურნავას განმარტებით, ბიზნესექტორის დაჯარამება და დასჯა სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის. თუმცა სანქციები იქნება მკაცრი და მინისტრმა ბიზნესმენებს მიმართავს, კარგად მოემზადონ შემომსმების გავლამდე.

„ვამომსმებთ, როგორც სრულდება ან შესრულდება სამედიცინო სექტორის რეკონსტრუქციები, რაც შეეხება დასაქმებულების უსაფრთხოებას. პირველ რიგში შემომსმებას ვინც იმ სისტემური სანარმოებიდან, რომელთაც მიეცათ მუშაობის გაგრძელების უფლება. გაერთიანებული ძალებით ჩვენ შევძლებთ დღეში 50 სანარმოს

შემომსმებას. პარალელურად დაიწყება იმ ბიზნესების შემომსმებაც, ვისაც შეუჩერდათ საქმიანობა, იმისთვის რომ მალე გადაეწვიონ ამ სტანდარტებზე და გააგრძელონ მუშაობა. ეს შრომატევადი პროცესია, ამას დრო დასჭირდება და უნდა შევეგუოთ. დრო სჭირდება ბიზნესებსაც, რომ გადაეწვიონ ბიზნესის საქმიანობის ახალ წესებზე ეს არის ინვესტიცია, რომელიც



თქვენ არ დაგეგმავთ ჩვენს მენარმეებო იმიტომ, რომ სამომავლოდ ეს იქცევა ცხოვრების წესად, ამიტომ კარგად მოემზადეთ და ეს დრო გამოიყენეთ იმისთვის, რომ წარმატებით გაიაროთ შემომსმების პროცესი და ჩვენ შევძლოთ, მშვიდად მოგვცეთ შემდგომი საქმიანობის გაგრძელების უფლება. თუკი რომელიმე სანარმო არღვევს რომელიმე გაიდლაინს და ჩვენ მოვასწავთ რეაგირებას. ჩვენი ამოცანა არაა დასჯა, თუმცა ჯარიმებსაც და საქმიანობის შეჩერებასაც ითვალისწინებს ჩვენი კანონმდებლობა, არამედ დახმარება ბიზნესის, რაც შეიძლება მალე გადაეწვიონ ახალ ეტაპზე და იყვენ სრულიად უსაფრთხო“, — განაცხადა თურნავამ.

## ბოლნისის მუნიციპალიტეტში თიანეთის რაიონის პირველი ეტაპი დასრულდა

ამ დროის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე შემომსმდა 48 ათასი ადამიანი. როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბოლნისის ცენტრის ხელმძღვანელმა მკა მამარდაშვილმა აღნიშნა, ბოლნისში არის კორონავირუსული ინფექციის რვა დადასტურებული შემთხვევა.

„დადასტურებული შემთხვევებიდან ერთი შემთხვევა თურქეთიდან შემოტანილია, მოხდა მისი გადაყვანა საკარანტინო ზონაში, მოხდა მისი ტესტირება, აღმოჩნდა დადებითი და პაციენტი გადის შესაბამის მკურნალობას, ანუ მას ბოლნისში კონტაქტები არ ქონია და პირდაპირ მოხდა საზღვრიდან მისი გადაყვანა. ვინც განმეორებით სკრინინგს, რომ მოხდეს იმ პაციენტების გამოვლენა, ვინც იყვნენ კონტაქტში და თუ ვინმე იქნება, რომელსაც სიმპტომები აღენიშნება, გადმოიყვანენ მას ბოლნისში ცხელების კლინიკაში. აქ მოხდება უკვე ნიმუშების აღება და კვლევა გაგრძელდება ლუგანის ცენტრში. ამ დროისთვის 48 000 ათასზე მეტი ადამიანი შემომსმდა, ეს არის ის ხალხი, ვინც ცხოვრობს ბოლნისში. თვითბოლაციაში გვყავს 208 ადამიანი, კარანტინში რჩება 37 ადამიანი“, — განაცხადა მკა მამარდაშვილმა.



გამონას მონები სიკვდილის ქრონიკა. ადამიანები სახლებში სხედან და რაღაცას ელიან. ყოველი მხრიდან ისმის შემაძრუნებელი ინფორმაცია ხალხი, რომლისთვისაც აქამდე სულერთი იყო, რა ხდებოდა სირიაში, ავღანეთში, ლიბიაში, უკრაინაში...

ნდება, ქალაქი ჩაიკეტება და ორანგლები ქალაქის პატიმრები ხდებიან. მოროდორები იტაცებენ ყველაფერს, რისი წაღებაც შეუძლიათ, გვამებს კი ვერ აუფიან, ქალაქგარეთ გააქვთ და წვავენ. მართალია, ზამთრის მოახლოებასთან ერთად შავი ჭირის ეპიდემია სუსტდება და მარცხდება, ტრაგედიას გადარჩენის უდიდესი სიხარული ცვლის, გულგატეხილ ადამიანებს არც სჯერათ, რომ გადარჩნენ, მაგრამ შავი ჭირის ბაქტერია არასდროს კვდება, მას შეუძლია, ათწლეულებით იძინოს და დადგეს ის დრო, როცა ისევ გაიღვიძებს.

# დალაშქრდა ბევრი ნარკვანა იყო, მაგრამ აღაშინებს ხანმოკლე მესსიერება აქვთ და ავიწყდება!

ზოგიერთი ფიქრობს, რომ სამყარომ დაიმსახურა ის, რაც ახლა მის თავს ხდება და ეს კანონზომიერება ადამიანების არასწორი ცხოვრების გამოა. კორონავირუსის შემდგომ როგორ შეიცვლება მსოფლიო და ხომ არ დარწმუნდება კაცობრიობა, რომ ყველაფერი ანგარება და ფული არ ყოფილა, თურმე არსებობს სხვა ღირებულებებიც, რომლებიც დაგვავიწყდა ამ გაბზრებულ ეკონომიკის ორბიტაში?



რონა ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში. როგორც პლატონი აღნიშნავს თავის გენიალურ „ტიმეოსში“, ბევრი წარღვნა იყო, მაგრამ ადამიანებს ხანმოკლე მესსიერება აქვთ და ავიწყდებათ. ასეთი განსაცდელი რაღაც პერიოდში ახსოვს ადამიანს, მაგრამ მერე ისევ ვარდება ინერციისაში, ყოველდღიურობაში, რომელსაც ასეთი გამოხატულება აქვს, ერთი მხრივ, ყოველდღიური შრომა და ფუსფუსი, მეორე მხრივ, დროსტარება და ლხინი. ნოეს დღეებშიც ასე იყო, ხალხი ჭამდა, სვამდა, ქორწინდებოდა, შრომობდა, მერე მოვარდა წარღვნა და ყველა დაიღუპა.

თავისთავად, მოსალოდნელია ისედაც შეფერხებული და ნირწამხდარი გლობალიზმის კიდევ უფრო შესუსტება შემდეგნაირი არგუმენტებით, რომ ე.წ. სამყაროს საზღვრები არის აბსოლუტურად არარეალისტური. მომავალი თუ ახლანდელი პოლიტიკოსების არგუმენტაციაში გაჩნდება ერთ-ერთი სერიოზული არგუმენტი, ჩვენ რომ გვინდა სამყარო საზღვრების გარეშე, ყოველთვის არის მოსალოდნელი ეპიდემია. აქედან გამომდინარე, ეს იქნება ძალიან სერიოზული არგუმენტი ე.წ. ღია, ტრანსპარენტული და გლობალისტური სამყაროს წინააღმდეგ.

ბოლო პერიოდში ადამიანებმა, მათ შორის, პოლიტიკოსებმაც, არასწორად აღიქვეს სამყარო. მათთვის სამყარო ფულის ირგვლივ ტრიალებდა, ეკლესიურად ამას მამონას მონობასაც უწოდებენ. სად დაიკარგა ნამდვილი ღირებულებები?

დიდი ნაწილი დგება მომაკვდინებელი განსაცდელის წინაშე, ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმას, რომ ადამიანის ბოლოც დადგება, რომ ყველა ადამიანი მოკვდავია. ყველა ტრადიციულმა რელიგიამ და ყველა ტრადიციულმა საზოგადოებამ ეს ჭეშმარიტება იცის, მაგრამ თანამედროვე მატერიალიზმზე ორიენტირებული სამყარო რაც უფრო ძლიერი აღმოჩნდა ტექნოლოგიურად, მით უფრო სუსტი – ფსიქოლოგიურად.

შეიძლება, ამიერიდან ამგვარად დაიყოს უამთავლა – კორონავირუსი და კორონავირუსის შემდგომი პერიოდი? ისევე, როგორც ძველი წელთაღრიცხვის და ახალი წელთაღრიცხვის პერიოდები?

– მოდით, ასე ვთქვათ, ბევრი ასეთი კო-

გაქრა. გარკვეული აზრით, დღესაც იგივე ხდება.

ერთი რამ ცხადია, სამყაროს აჩქარებული ტემპი შენელებულია, არავინ არსად ჩქარავს, ყველა რაღაცას ელოდება...

ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, ადამიანს ხომ დრო არ ჰქონდა არაფრისთვის, ახლა კი განგებამ თუ უფალმა ღმერთმა, ვისაც როგორ ურჩევნია, ისე ჩათვალს, მოგვცა ეს დრო არა კარიერული წინსვლისთვის, არამედ დასაფიქრებლად, საიდან მოვდივართ, სად მივდივართ.

ადამიანის ყოფიერებაზე დაფიქრება ახსენეთ, მაგრამ, ალბათ, დაფიქრებთან ის ერთეულები, ვინც ისედაც ფიქრისკენ არის მიდრეკილი.

– ეს სიტუაცია ძალიან ბევრ ადამიან-

ზე მოქმედებს. სახარება ვახსენეთ და იქ არის ერთი ადგილი, რომ ტურბულენტის დრო როცა მოვა, ადამიანებს გული შიშით გაუსკდებათ. მართლაც, ახლა ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით, დასავლეთში თავს იკლავს, რადგან ასეთ სიტუაციას ვერ უძლებს. თვითმკვლელობაზე უარესი რა შეიძლება იყოს. წარმოიდგინეთ, როგორი სუსტია თანამედროვე ადამიანი, განსხვავებით ტრადიციული ადამიანისგან.

თანამედროვე ადამიანებისგან განსხვავებით, ძველი ადამიანები უფრო იოლად გადაიტანდნენ ასეთ კორონავირუსს?

– აქ ვგულისხმობ იმ ტრადიციულ ადამიანებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მედიტაციაზე, ლოცვაზე. რა თქმა უნდა, ახლა ბაქტერიული საჭირო არ არის, მაგრამ ტრადიციული ადამიანი ორიენტირებულია მარადიული ღირებულებებზე.

ტრადიციულმა ადამიანმა იცის, რომ „ესეც ჩაივლის“, როგორც სოლომონ ბრძენის ბეჭედზე ეწერა?

– ნამდვილად ესეც ჩაივლის, ყველა ადამიანი მოკვდავია და არ არის ისტორიკა საჭირო. როგორც ანდრე ბოლკონსკი არ ნეუბა ბრძოლის ველზე, იცის, რომ მოკვდება, მაგრამ ვერ ეღირობება, მისთვის ღირსება უფრო მნიშვნელოვანია! ასეთი მომენტი თანამედროვე ადამიანისთვის უცხოა. მძიმეა განსაცდელის ხანა, მომაკვდინებელი სენის და განსაცდელის მოლოდინი. სხვათა შორის, „დეკამერონში“ ამბობს შავი ჭირი, მე ხუთასი მოვკალი და ათასები შიშით დაიხოცნენო. ყველაზე მძიმე პანიკის პანდემიაა.

კორონავირუსში ამიტომაც ეწოდა ამ პანდემიას.

– დიას, ამიტომ უფალი უნდა შემოვიდეს ჩვენში და შეგვენიოს, რომ ადამიანს მიანიჭოს მადლი დროის გაგების, შინაგანი ჩალრმავების, ჭკრეტის. განგებამ მოცალეობა მოგვცა, ახლა საჭიროა მჭკრეტელობა.

ამბობენ, ადამიანის გამოსასწორებლად ბოროტების ხილვას უფრო მეტი ეფექტი აქვს, ვიდრე სიკეთის მაგალითსო. ალბათ, კორონავირუსით ერთგვარად ასეთი გამოვლინებაა.

ამას თეოლოგები შეფასებენ, მაგრამ ჩვენ, უბრალო ადამიანებმა, მათ შორის, ფილოსოფოსებმაც, უნდა ვთქვათ, რომ ანტიკურობაშიც, ქრისტიანულ კულტურაშიც ფილოსოფია მოიაზრებდა, როგორც ჭკრეტით ცხოვრება. ჭკრეტით ცხოვრებას კი სჭირდება მოცალეობა. ღმერთმა მოგვცა ეს მოცალეობა, რომ ვიფიქროთ საკუთარი სულიერი, შინაგანი განვითარებისთვის.

ფაქტობრივად, დღეს ყველანი გავსდით დიოგენეზი და კასრებში ვართ გამოწყვდილნი. ბიბლია ახსენეთ და იქაც ასეა, ოქრო ეყრება ქუჩებში, მაგრამ არავინ აიღებს; ადამიანებს ერთმანეთის დანახვა მოენატრებათ, დღეს დაახლოებით ასეთი აპოკალიფსური სურათია?

– კასრში, როგორც ციხის დილეგში... გავისხენოთ სოკრატეს უკანასკნელი დღე, ანუ სხეული, როგორც სულის საპყრობილე. ადამიანს სულ უნდა ჰქონდეს ისეთი განცდა, რომ წუთისოფელი არის საპყრობილე. ანუ სულიერი განვითარებისთვის საჭიროა ის მოცალეობა, რომელიც ახლა მოგვცა უფალი.

FORGE

# გადაჩენილი აღაშინა მოგაპლის აკონომიკას აკლოპინებს!

„ბაზანაღმურებს თუ არა კარანტინი ბიზნესს და ეკონომიკას?“, – სტატიას ასეთი სათაურით BBC აქვეყნებს. მასში ამერიკის ცენტრალური ბანკისა და მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომისტების კვლევის შედეგებია განხილული. სპეციალისტები 100 წლის წინანდელი ესპანური გრიპის მაგალითზე ხსნიან, თუ რა გავლენას ახდენს მკაცრი შეზღუდვები ბიზნესზე და რა განსხვავება იყო იმ ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას შორის, რომლებმაც კარანტინი სხვადასხვა დროს შემოიღეს. მაშინ პანდემიას 50 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მოიგეს მათ, ვინც ეკონომიკის გადარჩენას მოსახლეობის გადარჩენა ამჯობინა. თავიდან ყველას ერთნაირად უჭირდა, მაგრამ პანდემიის დასრულების შემდეგ ცხოვრების ჩვეულებრივად გაცილებით მალე დაუბრუნდნენ ის ქვეყნები, რომლებმაც კარანტინი თავიდანვე გამოაცხადეს, ადამიანებს შორის ფიზიკურ კონტაქტი მაქსიმალურად შეზღუდეს და ჰიგიენის ნორმები გაამკაცრეს.

ქალაქებში, სადაც გადამწყვეტი და გადაუდებელი ზომები დაუყოვნებლივ მიიღეს, ბიზნეს-სექტორი იმაზე მე-


## კარანტინი არაპარტო სიკვდილიანობას, არამედ პანდემიის უარყოფით შედეგებს ახსიერებს

ტად არ შემცირებულა, ვიდრე სხვაგან. სამაგიეროდ, პანდემიის დასრულების შემდეგ ეს სფერო მალევე განვითარდა. აღმოჩნდა, რომ კარანტინი არა მარტო სიკვდილიანობას, არამედ პანდემიის უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს ამცირებს, – ნათქვამია ეკონომისტების წინასწარ დასკვნაში. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კარანტინის შემოღების 10-დღიან განსხვავებას ეპიდემიის შემდგომ პერიოდში მრეწველობაში დასაქმების 5%-იანი ზრდა მოჰყვა. შეზღუდვების დამატებითმა 50-მა დღემ კი სამუშაო ადგილების 6.5%-იანი ზრდა გამოიწვია.

შესაბამისად, ადამიანის და ეკონომიკის გადარჩენა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, – თვლიან მეცნიერები და აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის გადარჩენა მომავალი ეკონომიკური აქტივობის საწინდარია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუს-

თან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. მანამდე კი, 30 იანვარს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა პანდემიის დასრულების შესახებ. ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო. ის გამოწვეულია კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამით.

21 იანვარს ჩინეთმა დაადასტურა, რომ კორონავირუსი გადამდებია. მომხდარის გამო ქვეყნის ორ ქალაქში კარანტინი გამოცხადდა.





# აკლავით კორონასები!

## ირაკლი ლაბარია: მიხალთი დავინფორმებთ ტელევიზიას!

— ყველაზე დიდი როლის შესრულება ამ სიტუაციაში და ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაც აკისრიათ ჩვენს ტელევიზიებს, ჟურნალისტებს. ნებისმიერი სიუჟეტი, სიტყვა, რჩევა და ა.შ. შეიძლება დასრულდეს საკმაოდ საშინელი შედეგებით. ამისთვის, საჭიროა სახელმწიფომ გააკონტროლოს ნებისმიერი ტელევიზია, რათა საზოგადოებაში არ გავრავდეს პანიკა და რაც მთავარია, არ დაიწყოს მოსახლეობამ თვითნებური მკურნალობა.



კარგი იქნება, თუ კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში სანქციებსაც გადმოვიდებთ ბრიტანეთიდან. ბრიტანული მედიასაშუალებები გაფრთხილებულნი არიან, რომ მათ მედიარეგულატორებისგან დაეძვებთ სანქციები, თუ გასაქანს მისცემენ ცრუ ინფორმაციას, რჩევებს, რომელიც კორონავირუსს უკავშირდება. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც „Sussex“ რადიოსადგურს მიეცა მკაცრი გაფრთხილება უსაფუძვლო კონსპირაციული თეორიების გადმოცემის გამო, რომლებიც პანდემიას ნუ ქსელს უკავშირებდა!

### სოსო მანჯავიძე:

## ნარკოდიპინით ბრიტანელების ბაპოპეტყვება, „მთავარის“ და „ტვი პირველის“ სიუჟეტები რომ გაღაგუთარგებოთ და პანახოთ

— ბრიტანულმა მედიარეგულატორმა გააფრთხილა მედიასაშუალებები, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისაგან. კერძოდ, გააფრთხილეს რადიო „Sussex“, რომელმაც გაავრცელა ინფორმაცია ნიკოლოზისა და კორონავირუსის პანდემიის კავშირის შესახებ. ასეა წარმოდგინებული ბრიტანელების გამომეტყველება, „მთავარის“ და „ტვი პირველის“ სიუჟეტები რომ გაღაგუთარგებოთ და ვანახოთ. ალბათ, იშვიათია ქვეყანა, რომელსაც თავის მასშტაბთან შედარებით დეზინფორმაციულ-დივერსიული მედიადაჯგუფებები ჰყავდეს. სისარულს ვერ მალავდნენ პირველი გარდაცვლილის გამო. კარგი იქნება, თუ მათი მოქმედება ეზიდემიის დროს გადაითარგმნება, დაარქვებდა და როცა ვითარება გამოსწორდება, მიენოდება საელჩოებს, დასავლურ საზოგადოებას,




მედიას და პოლიტიკოსებს, რომ მომავალში მაინც აღარ ვიხილოთ მათი ლობისტების დიდაქტიკური ტონით გაქვინებული არაობიექტური წერილები, რომლებიც „მთავარს“ და ეპიგონებს თავისუფალ მედიად, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტიკურ ოპოზიციად მოისხენიებენ. ამის რესურსი ნამდვილად არსებობს, ამიტომ კეთილი უნდა ინებოს ხელისუფლებამ და ეს პრობლემა გადაწყვიტოს. აღარ ვარგიათ ეგენი უკვე სავარჯიშო ტომარადაც კი, რომელსაც მოკრივეები „მსხალს“ უწოდებენ. დალბა უკვე ეს მსხალი, ძალიან უსიამოვნო სუნი აქვს, გაიტანეთ!..

### ვილხარ ბანეშვილი:

## ვილხარ ბანეშვილი ალბათ ოდესმე შექმნის ნიგნ-სახელმძღვანელოს „როგორ უნდა გვეხმარება“ საშობლო და გეოგრაფიული ხალხი“

„ვილხარ ბანეშვილი ალბათ ოდესმე შექმნის ნიგნ-სახელმძღვანელოს „როგორ უნდა გვეხმარება“ საშობლო და გეოგრაფიული ხალხი“, — ამის შესახებ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვერცეტიძე სოციალურ ქსელში წერს.

— ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, ამჟამად თუ გაუვიდათ (რაც 99.99%-ით არ მოხდება), ვილხარ ბანეშვილი ალბათ ოდესმე შექმნის ნიგნ-სახელმძღვანელოს „როგორ უნდა გვეხმარება“ საშობლო და გეოგრაფიული ხალხი“. მასში პირველ ფურცლებსა და გვერდებს უალტერნატივოდ დაიკავებენ ამჟამად პროვოკაციული სიუჟეტებით, მოსახლეობის დაშინებისა და ოპონენტებისადმი სიძულვილით განთქმულ-გამორჩეული ორი დესტრუქციულ-დეზინფორმაციული არხი: „მთავარი“ და „ფორმულა“. ისინი „მაგალითს“ იძლევიან იმისას, თუ ჩასაფრებული ბოროტი, როგორ მოუთმენლად უნდა ელოდებოდეს პანდემიისას



დაზოცილი ადამიანების რაც შეიძლება მატებას, აძაგებდეს მოყვასისადმი თავდადებულ პიროვნებებს, თუ როგორ უნდა წარმოაჩინდეს საკუთარი სტომაქის ამოსაყორად თეთრს შავად და შავს თეთრად, თუ როგორ უნდა ცრუობდეს საქვეყნოდ... და რაც მთავარია, თუ როგორ უნდა შეიძულოს მომავალმა თაობამ და საერთოდ ადამიანთა მოდგამამ მამული, ენა და სარწმუნოება.

იცით, რა მაინტერესებს — სად დაიბადნენ, სად აღიზარდნენ და სად სწავლობდნენ ამ არხებში მომუშავე სუბიექტები?!

გვეკითხებით, მეგობრებო — არსებობს კი სადმე ისეთი სასწავლებლები, სადაც კაცთმოქულებას ასეთი დოზით ასწავლიან?!

## ბიკ აბაშიძე: მოვუწოდებ ჩვენს ხელისუფლებას, საბანგებო მითარკების დროს ალბათ კორონასების მანეჟლობა, მასში სანქციაში მელიაპარაზიტებს!

— ბრიტანულმა მაუნცებლებმა გაფრთხილება მიიღეს მარეგულირებლისგან, [Ofcom], დაექვემდებარებით სანქციებს, თუკი გაავრცელებთ ყალბ საინფორმაციო რეკონსტრუქციებს კორონავირუსთან დაკავშირებით. გაფრთხილება უკავშირდება სასექსის ადგილობრივ რადიოეთერში „რეგისტრირებული ექტის“ შეთქმულების თეორიის გავრცელებას, რომ თითქოსდა COVID-19 პანდემია უკავშირდება ნიკოლოზის ქსელს.



ერთი შემთხვევის შემდეგ, სასტიკი გაფრთხილება და სანქციებით დამუქრება დიდ ბრიტანეთში. საქართველოში რა ხდება? როდემდე უნდა ითმინოს საზოგადოებამ SAACOVID-5-ის „მთავარი მატყუარას“ არხის, მანეჟული „ტვი პირველის“, კუზერას ურეტიტიგო „ფორმულის“, აქუსა და გომი ჯანგოს „კავკასიის“ (უტიფარმა გუბაზმა აქუსთან — კორონავირუსის პრევენცია ავიკითა და ჭაჭით სდებო), ფიკინიუსერი და უფიცი კაპანაძის პრესა.გე-სა და სხვა ნაცკორონების ტყუილები, დეზინფორმაცია და მანეჟლობა? მოვუწოდებ ჩვენს ხელისუფლებას, საგანგებო ვითარების დროს, ალბათ კორონავირუსის მანეჟლობა. მკაცრი სანქციები მედიაპარაზიტებს!..

## ალექსანდრე გოგინავა: უსაქმებელი, საქართველოში უფრო ადვილად გაღაგუთარგებოთ, ვიდრე სხვა ქვეყნებში

როგორც ეპიდემიოლოგები ვარაუდობდნენ, კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევები აპრილის დასაწყისიდან დაიწყებოდა, ბოლო 4-5 დღის განმავლობაში ეს ტენდენცია შეიმჩნევა, თუმცა ის დინამიკა, რაც ახლა გვაქვს, საკმაოდ დაბაკმაყოფილებელია და განიხილება, როგორც კარგი სცენარი, — ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს ინფექციონისტი, „იმედის“ დოქტორი ეთერ შიგინავა.



ალექსანდრე გოგინავამ მიმდინარე კვირას პრეკრიზისული უწოდა, რომლის შემდეგაც 2 კვირის განმავლობაში ახალი შემთხვევები მოიმატებს.

„თუმცა ეს დინამიკა მაძლევს ისეთ განცდას, რომ შესაძლებელია ჩვენთან პიკი არ იყოს ისეთი მაღალი, როგორც სხვა ქვეყნებში და საქართველომ ბევრად უფრო იოლად გადაიტანოს ის პანდემია“, — აცხადებს გოგინავა. ამასთან, ინფექციონისტი პიკის დასრულებას აპრილის ბოლოდან მაისის დასაწყისამდე ვარაუდობს.

## ბიკანაი უსაფრთხო რეჟიმით ამოქვეყნებაში

იმ განაცხადებს შორის, სადაც დაფიქსირებულია საქმიანობის გაგრძელების სურვილი, ბიზნესის თითქმის ყვე-

ლა სფეროს სანარმო აქტიურობს, მათ შორის ძალიან აქტიურია სამშენებლო და საშენ მასალათა სექტორი, რადგან ბოლო დრომდე მასშტაბური მშენებლობები მიმდინარეობდა საქართველოში და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პროცესი, ოღონდ ყველა წესის დაცვით, მალე გაგრძელდება, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ბიზნესის მიერ ეკონომიკის სამინისტროს ვებგვერდზე შევსებული აპლიკაციების სტატისტიკას და მიმართულებებს ეხებოდა.

„რადგან აპლიკაციებში ჩვენს მიერ გარკვეული ინფორმაციაა მოთხოვნილი ამა თუ იმ ბიზნესის შესახებ, ინფორმაციას ჯერ ჩვენს უწყებებში ვანალიზებთ, პარალელურად ვსვამთ შესაბამისებულ ბიზნესთა შორის და როგორც მოგახსენებთ, ამ შემონებებისთვის ყველა მაკროტროლებული და შემონებებისთვის საჭირო ჩვენს ყველა რესურსი მობილიზებულია და ყველა ერთად, სხვადასხვა ინსტრუქციის მეშვეობით, დღეში, სულ მცირე, 50 ბიზნესის გადასწავლას ვგეგმავთ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მიზანი არის არა ვინმეს დასჯა, არამედ ახალი კულტურის დანერგვა და დახმარება, რომ ბიზნესები მალე ამოქმედდნენ, მაგრამ აბსოლუტურად სხვა, უსაფრთხო რეჟიმით“ — აღნიშნა ნათია თურნავამ.

## იბეგაევა პეპეოქოქის პაქსინით ასრა

„სახელმწიფომ მსჯელობს გეგმაზე, რომლის მიხედვითაც 60 წელს გადაცილებულნი და ასევე ქრონიკული დაავადებების მქონე მოქალაქეები, შესაძლოა, პენემოკოქის ვაქცინით აიცრან“ — ამის შესახებ ჟანდაცვის მინისტრმა „რუსთავი-2“-ის ეთერ შიგინავამ.

ევატერინე ტიკარაძის განმარტებით, არის ვერსია, რომ ეს აცრა შევიდეს საქართველოში სავალდებულო ვაქცინაციის ფარგლებში და მოხდეს ყოველწლიურად, შესაბამისი მონაკვეთების გავლის შემდეგ ვაქცინის განახლება ამ მოქალაქეებში.

„ყოველდღიურად ვუფრთხილებით იმ მოწყვლად ჯგუფებს, რომლებიც არიან ხანდაზმულები და, რა თქმა უნდა, პარალელურ რეჟიმში არიან მრავლობითი ქრონიკული დაავადების მატარებლები. ჩვენი სპეციალისტების მხრიდან მოხდა განალიზება საქართველოში ძირითადი ნამყვანი დაავადებების და სიკვდილიანობის გამოწვევი რა მიმართულებებია, სადაც ჩვენ ცალსახად დავინახეთ, რომ სწორედ ამ მოწყვლად ჯგუფებში, მრავლობითად არის განვითარებული პნემონიები და ჩვენს ევროპულ კოლეგებთან კომუნიკაციის შედეგად, ასევე საუკეთესო ქვეყნების პრაქტიკის გამოყენების მაგალითზე მივიღეთ გარკვეული რეკომენდაციები, რის განხორციელებასაც ვგეგმავთ საქართველოში. ეს კონკრეტულად არის ევროპის ქვეყნებში მიღებული პრაქტიკა, როდესაც ისინი 60 წელზე ზევით მოსახლეობას და მოწყვლად ჯგუფებს ცრიათ პნემოკოქის ვაქცინით. სწორედ ამასთან დაკავშირებით არის ეს ინიციატივა, რასაც ჩვენ დეტალურად ვამუშავებთ“, — განაცხადა ტიკარაძემ.



## ყოფილი დავუბატი რატი სამყურაშვილი ბარდისპალა

საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი რატი სამყურაშვილი გარდაიცვალა. ის მიიმე სენით იყო დაავადებული.

რატი სამყურაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი იყო.

ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, ძალიან ჰგავს პოპულარულ პოლიფედურ ფილმს, რომლის აპოკალიფსური შინაარსი და შესაბამისი თავზარდამცემი კადრებიც დედამიწაზე ბოროტი კოსმოსური ძალების თავდასხმაზე მოგვითხრობს, როცა განადგურების პირას მისული კაცობრიობა ერთიანდება და მტერს ამარცხებს.

ჯერ გამარჯვება შორს არის, მაგრამ სახელმწიფოები რომ ერთიანდებიან კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ფაქტია. რაც მთავარია, კაცობრიობა მიხვდა, რა საშიშროების წინაშეც დგას: აშშ-ში, მაგალითად, ერთ დღეში ათეულ ათასობით კაცი დაინფიცირდა, სახელმწიფომ 2-ტრილიონიანი სტიმულირების პაკეტი – ამ ქვეყნის ისტორიაში უმსხვილესი დახმარების პაკეტი „დადო“.

ერთ-ერთი მთავარი დასკვნა: კორონავირუსმა არ იცის მდიდარი და ღარიბი, ცუდი და კარგი კაცი... როგორც ამერიკელმა პოპკულტურა მადონამ ძალზე მორგებულად თქვა, „ყველანი ერთ ნავეში ვსხედვართ“.

მართლაც: უნგრეთში ბრიტანეთის ელჩის მოადგილე გარდაიცვალა.

რუსეთში ცნობილი მწერალ ბორის აკუნინს (გრიგოლ ჩხარტიშვილს) და მომღერალს ლევ ლეშჩინკოს კორონავირუსი დაუდასტურდათ. ასევე დაუდასტურდათ დაავადება ესპანეთის ვიცე-პრემიერს, დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეს, უელსის პრინცს ჩარლზს. და ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ბორის ჯონსონს, მონაკოს პრინცს ალბერ II-ს, ავსტრიის უკანასკნელი იმპერატორის კარლ I-ის შვილიშვილს კარლ შაბსბურგ ლოტარინგიელს, ამერიკელ რეჟისორსა და მსახიობს ტომ ჰენკსს, დიდ ტენორს პლასიდო დომინგოს, კანადის პრემიერის მეულეს...

ამ ცნობილ და აღიარებულ პიროვნებათა დაინფიცირება საკვირველი იმიტომ კი არ არის, რომ ისინი წითელი კოჭები არიან, არამედ იმიტომ, რომ იმათაც კი, ვისაც რიგით მოკვდავებზე განუზომლად მეტი თავის დაცვის საშუალება აქვთ, ვერ მოახერხეს ეს.

თავის დაცვა კი აუცილებლად გვეჭირდება. საშიშროება მხოლოდ კორონავირუსით არ ამოიწურება. მაგალითად, კორონავირუსი ჩინელებმა კი დაამარცხეს თითქმის, მაგრამ გაჩნდა ახალი – ჰანტა ვირუსი, რომელიც... ადამიანს ვირთავებთან გადევნება. რა გარანტია გვაქვს, რომ სვალ-ზეგ, როცა კორონა ჩაივლის ეს ჰანტა ძუ მგელივით არ მოგვიხტება, ამიტომ ვირთავგობა უნდა დავივიწყოთ. SOS! ვირთავგობა და მსგავსი საზიზღრობა დღეს ორმაგად საბედისწეროა! საერთოდ, თუ ამ პანდემიას გადავურჩით, ბევრი რამის გადაფასება, ახლებურად აღქმა მოგვინებს.

რა დრო დადგა!..ერთმანეთთან სიახლოვე ინფექციისთვის ადვილად მოწყვლად გვხვს. ეს ამ პანდემიის ერთ-ერთი მთავარი გამოცდილებაა და ადამიანები ერთმანეთს დაშორდნენ, საშუალოდ 1 მეტრით მაინც. ქუჩები დაცალა ხალხისგან. მსოფლიოს მოსახლეობის მესამედით თვითზოლიაციისა. ეკლესიაში ლოცვისას ერთმანეთს გვერდით კი აღარ ვდგავართ, არამედ ერთი ან ორი მეტრის დაშორებით, რათა ღვთის სახლშიც კი ვირუსი არ ავიკიდლოთ.

ბევრი ასწლოვანი, მამაპაპური რიტუალი ჩაბარდა წარსულს, იქნებ დროებით, მაგრამ მაინც. როცა პირველი ცნობა გამოჩნდა, რომ იტალიის მასობრივი კრებებიცაა ხდება, რომ მივიკვლიებოთ სამხედრო მანქანებით გადააქვთ დასაკრძალად (ალბათ, სამომავლოდ), რომ ცხედრების დაკრძალვის სპეციალური ნესი შემუშავდა, ამან ჩვენში დიდი შიშით გამოიწვია გამოიწვია, როგორ თუ... მაგრამ: ამ დღეებში თბილისში ერთი ღირსეული, პატივსაცემი, კარგი ოჯახის პატრონი ქალბატონი გარდაიცვალა. ეს ამბავი პარასკევს მოხდა, კვირას კი დაკრძალეს, ოჯახში გამართულ ჭირის სუფრას 20-მდე ადამიანი ესწრებოდა...

ყველას გვაღიზიანებდა ზღვარგადასულად ხალხმრავალი ქელები, ორმოცი და წლისთავები (ქორწილებზე აღარაფერს ვამბობ). ამ 40 წლის წინათ თვითონ ვესწრებოდი ოზურგეთში 1500-კაციან ქელესს, სადაც სახანძრო მანქანა ჰყავდათ დაქირავებული ჭურჭლის სარეცხად. თავის დროზე კომუნისტებმა „მავნე ტრადიციების“ წინააღმდეგ ბრძოლის რაღაც ორგანიზაციაც კი შექმნეს,

ძირითადად სწორედ „სახალხო“ ქორწილ-ქელებების წინააღმდეგ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. როგორც ჩანს, ხალხი თვითონ უნდა დარწმუნდეს „მავნე ტრადიციების“ დრომოჭმულობაში და თვითონვე უარყოს, თორემ ბრძანებით და დეკრეტით ვერ გააუქმებ. ახლა საყოველთაო გასაჭირია და გარემოება გვა-



# ლოპოპე დაკიდეთ!

იძულებს 10-20-კაციანი ჭირის სუფრებში დაკმაყოფილებას, მაგრამ ამ დღეებში დამკვიდრებული მწარე გამოცდილება მომავალშიც უთუოდ იჩენს თავს, ოღონდ უკვე გონივრულ ტრადიციად. რუსები ჩვენზე ნაკლები არც მართლმადიდებლები არიან და არც ჩვენზე ნაკლებად ექვირფასებათ დაკარგული ახლობლები, მაგრამ მიცვალებულს არ ანუხებენ, 5, 7, 9 დღე არ აჩერებენ მიწას მიუბარებლად და ერთობ მოკრძალებული (ოჯახის ფარგლებში) ქელებითაც გადაიან იოლად. ჩვენ კი მათს ამ უდავოდ გასაზიარებელ ტრადიციას ირონიული ღიმილით შევცქეროდით.

ახლა სხვა დრო გვიდგას. ის კი არა, როგორც ვატყობ, წვერთან, ჩვენი განსაკუთრებით აღმატებული ახალგაზრდების საყვარელ ატრიბუტთან, გამოთხოვებაც მოგვინებს. ყური მოვკარი, პანდემიის დროს წვერის, მით უმეტეს მოუვლელის, ტარება სასურველი არ არის, შესაძლოა ინფექციის გავრცელების „ბუდედ“ იქცესო. ჩინელმა ექიმებმა აკი თმაც გადაიპარსეს, რათა ვირუსის გავრცელების რისკი შეეჩერებინათ. ალბათ, ასეთი საყოველთაო თავგამებების შედეგებიც არის, რომ მალე ჩინეთი მოხსნის უხანის ბლოკადას, რომელიც ორი თვე საერთოდ მოწყვეტილი იყო გარესამყაროს. უხანელები ჩაკეტილი სახლებიდან სასურველად უკვე გამოვიდნენ.

და ეს მაშინ, როცა ამერიკა-ევროპაში პანდემია ახლა „იზეთავს ბორბლებს“, ახლა „შედის ეშში“. მსოფლიო დღეს პირბადეებისა და დამცავი ხელთათმანების შოვნაზეა გაფაცვიცებული და ყველა ვიღაცა, როგორც რთველის დროს განმანადგურებელი სექცევა კახეთში.

ამ საყოველთაო უბედურების ჟამს საქართველო უნ-უნ-უნოდ და უვიწვიოდ დგას ფეხზე. ხელისუფლება და ხალხი შეაკავშირა საერთო გასაჭირმა, მოქალაქეები გაგებთ ეკიდებოთ სავალდებულო აკრძალვებსა და სახლებში იძულებით გამოკეტვას, იმას, რომ პანდემია არა

მხოლოდ მათ ჯანმრთელობას აყენებს რისკის ქვეშ, არამედ ეკონომიკურადაც ანადგურებს ქვეყანას.

ამ ვითარების გამოსასწორებლად გვეგმებს სახავს ყველა, ვისაც არ ეზარება. მაგალითად ერთმა პარტიამ მთელი კონცეფცია წარმოადგინა. ამ კონცეფციით ბევრი შესანიშნავი ჩანაფიქრია, ცხონებული ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, მოხარული ნაბილიდან ფეხების დათბილვამდე: მშრომელთათვის იძულებითი განაცდურის ფულადი ანაზღაურება, პენსიონერთათვის ფულადი დახმარება და სხვა. ოღონდ ეს ყველაფერი საკუთარი, პარტიული ძალებით კი არა, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. იცოცხლეთ, კარგი იყოს, მაგრამ შეუძლია ჩვენს გაძვალტყავებულ ქვეყანას ამის გაკეთება?! მაგრამ ამის გააზრება ფეხებზე არ ჰკიდიათ! მათ ხომ „დაგვეგმეს“, მათ ხომ „მშრომელებზე,

საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის „ნობათის“ – პირბადეების, ხელთათმანების, სადეზინფექციო ხსნარის დარიცხვა დაინყო და ირგვლივ 100-მდე კაცი შემოიკრიბა, მაშინ, როდესაც ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით 10 კაცზე მეტის თავშეყრა სასტიკად აკრძალულია. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის უხეშად დარღვევის გამო, პოლიციამ ორგანიზაცია „ახალი ლიდერები“, რომლებმაც ზუგდიდში ასეთი ღრინცვლით შეიტანა მიწას „ტროას ცხენი“, 15 ათასი ლარით დააჯარიმა და სათანადო ოქმი საკუთარ ხელში გადასცა ორგანიზაციის ხელმძღვანელს კრისტიანა მარია კოდი პურშოუს.

ინციდენტის გამო თვით „რკინის ნაცი“ ნიკანორ მელია იძულებული გახდა თავი ემართლებინა და ბოდიში მოეხადა: ხანდახან ერთს აკეთებ და მეორე გამოგდის და საბოდიშოდ გიხდება საქმეო. ამ ინციდენტმა ერთი მხრივ გვიჩვენა აქციის ორგანიზატორთა მოუშადადებლობა და მეორეს მხრივ ის, თუ როგორ ჰყავს ხელისუფლებას ხალხი უპირბადოდ (ეს კი მიზანში მოარტყა, თუმცა ახლა, როცა პოზიცია და ოპოზიცია, პრინციპში ერთიანდაა კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად, უბრალოდ უკადრისი საქციელია მომენტი ასე უსინდისოდ გამოიყენო ქულების დასაწერად). სწორად თქვა ბატონმა ამირან გამყრელიძემ ამასთან დაკავშირებით, – კარგი საქმის კეთებას სიჩუმე უყვარსო. ოპოზიციის ამ უხეირო აქციას ისიც მოჰყვა, რომ სამეგრელოს ზონაში საგანგებო ვითარების რეჟიმი გამოაცხადა, იმდღევანდელი თავშეყრის სავარაუდო შედეგის ასაცლებლად.

ჩვენი ჯანდაცვა უღალატოდ იღვწის, მაგრამ დროდადრო გარემოებები გვალატობს. ამას წინათ ალტაელებით გვაცნობეს, რომ ჩინეთიდან მოდის სწრაფი ტესტირების საშუალებები, რაც ავადმყოფობის უმალ დადგენასა და, ამდენად, მკურნალობაშიც ხელშეწყობს შეღავათს იძლევაო. მაგრამ... გაირკვა, რომ ჩინური სწრაფი ტესტირების საშუალება არც ისე სწრაფია და მეორეც, თურმე არც უტყუარ პასუხებს იძლევა. ასე რომ, მასზე უარის თქმა მოგვინია. ამან მძიმე ვითარების გამო შემორიგებულ ოპოზიციას საბაბი მისცა ენები აელესათ და შხამიანი კითხვებით დაეწვლიტათ უძილოსიგან ძალა-გამოცლილი ხელისუფლება. აბა, ვესტას ქურუმი სალომე სამადაშვილი ამ მომენტს ხელიდან როგორ გაუშვებდა: უნესტოებო ცხვირით მოხრაკულის სუნით იყნოსა და მიდიიი!..

ასე რომ, ის უკუღმართი სწრაფი ტესტირება კვლავ მოსაგვარებელი გვაქვს.

**ამასობაში მსოფლიო მეორედ მოსვლისთვის ემზადება: ნიუ-იორკის ქუჩებში მობილურ მორგებს დაგმენ, მადრიდის სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუ“ სამედიცინო ცენტრად გადაკეთდა და სამკურნალო მასალებისა და აღჭურვილობის ერთგვარ სანყობად იქცა. მსოფლიოში სერიოზულად განიხილება საკითხი, პიკის დროს ავადმყოფები, რომელთა განკურნებაც შეუძლებელია, ხომ არ „გამორთონ“, რათა სხვების, უფრო პერსპექტიულების მკურნალობა შეძლონ...**

რუსეთის სამილემეჩიო პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თავისი მოქალაქეების ოპტიმისტურ ხასიათზე მოსაყვანად, რადიკალური ყვითელი ფერის დამცავ კომბინეზონში გამოიწყო და ინფიცირებულითა პალატაში მოინახულა, რისთვისაც (ყვითელი კომბინეზონის გამო) იგი „მინიონს“ შეადარეს. შენ გინდა „მინიონი“ უქახე და გინდა „ჟონგლიორი“, სწორედ მისი ამ „გამორბობს“ გამოძახილი იყო, რომ ციმბირის რომელიღაც ქალაქში შუახნის ბატონები და ქალბატონები შეიკრიბნენ და სულ 30-იანი წლების სტილით იძახეს, ჩვენ კორონავირუსის არ გვეშინია, მტკიცედ ვდგავართ სახელმწიფოს გვერდითო.

ღმერთმა ხელი მოუშაროთო! – ერთმანეთის თანადგომა არც ჩვენი შინა არის უცხო. ერთმა ფშაპელმა ყვანაძემ ფიქსიონალური მშვენივრად იხუმრა – თუ ვინმეს რამის მოწვდა გინდათ, ღოპოპე დაკიდეთო...

ალექს ასლანიშვილი



ეტაპზე 1500 სამუშაო ადგილის შექმნა“.  
[http://government.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=541&info\\_id=75759](http://government.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75759)  
 სწორედ ესაა მართვის არსებული სტილის გამოხატულება. ჯერ ერთი, თუ ღრმანწყლოვანი პორტი საჭიროა, რატომ და რა ზომის და როდისთვის? თუ 6 მლნ.ტვირთის დამუშავება საკმარისია მომავალი 15-20 წლის განმავლობაში,

მოსგარდ ქრისტესენი ხან მილიარდ ლარამდე <https://1tv.ge/news/eipiem-terminals-fotis-direqtori-ekonomikis-ministridagvpirda-rom-sawyisi-nebartvis-tankhmoba-tvis-bolos-gveqneba/>, ხან 350 მლნ აშშ დოლარამდე!  
<https://1tv.ge/news/fotis-porti-akhali-ghrmawlyovani-navsadguris-msheneblobis-miznit-miwatsargeblobis-nebartvas-itkhovs/>.

ისე, ანაკლიის პორტისთვის ინვესტიციების ოდენობა გამოცხადებული იყო 2,5 მილიარდი აშშ დოლარი.  
<http://anakliadevelopment.com/ka/info/>.

ამ ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია. „ეიპიემ ტერმინალსფოტის დირექტორი შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ არ აღნიშნოს: ფოტის ღრმანწყლოვანი პორტი მოემსახურება „პანამაქსის“(Panamax Class) ტიპის გემებს.

კონტეინერების გადამტანი საზღვაო გემების კლასიფიკაციაში, ასეთი გემები სიდიდით ათიდან მეხუთე საფეხურზე დგანან და მათი ტევადობა 4000-7000 TEU-ს შეადგენს.

ანაკლიის განვითარების კონსორციუმის ინფორმაციით, ანაკლიის პორტი მოემსახურებოდა 10000 TEU-ს ტევადობის გემებს. ეს შეესაბამება გემების კლასიფიკაციაში მეექვსე კლასს – ე.წ. კლასს (Post-Panamax Class) 7000-დან 13000 TEU-მდე.

„პანამაქსის“ კლასის გემები 12 მეტრის, ხოლო „პოსტ-პანამაქსის“ 15 მეტრის სიღრმეს მოითხოვს.

ნათქვამიდან გამომდინარე, ფოტში იგეგმება 12-მეტრიანი ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობა, ხოლო ანაკლიაში სიღრმე 16 მეტრამდე იგეგმებოდა.

ფაქტი ერთია, რომ მომავლის თვალსაზრისით, ფოტში შესაძლებელი იქნება ერთი კლასით დაბალი ტევადობის გემების მიღება, ვიდრე ეს ანაკლიის პორტის შემთხვევაში.

**როდის გახდება საქართველოში მმართველობა ღია და ორიენტირებული მომავალზე?**

ანაკლიის პორტის შემოთავაზებული გეგმა უფრო უკეთესად გამოიყურება, ვიდრე ფოტის პორტის გაფართოებისა, თუმცა, საქართველოს ეკონომიკური მომავლიდან გამომდინარე ორთავეს მონაცემები ჩამორჩება უმაღლესი კლასის მომსახურების მოთხოვნებს!  
**რატომ?**

რატომ არ იგეგმება შავ ზღვაზე პორტი Super-Post-Panamax Class/E- (13 000 TEU-ზე მეტი), Explorer Class (16600 TEU-ზე მეტი), Tripe E-Class (18 200 TEU-ზე მეტი), Post-Triple E-Class (პოლუე 21 000 ეუბ-ზე მეტი) კლასის გემებისათვის?

**ჯერ არ ყოფილა ისტორიაში ძველნი სასარგებლოდ დასმული კითხვა, რომელზეც ხალხს პასუხი ამ მივიღოს!**

**მისილ ზიგუტი**



# ფოტი და ანაკლია: კონკურენსია მომავლის წინააღმდეგ?



და ანაკლიაც?!

მისი აზრით, „ფოტის პორტის განვითარება არის შეზღუდული, მაქსიმუმ, განვითარდეს, დაახლოებით, 6 მლნ დამატებითი ტონით, ფიზიკურად იქ არ არის მეტი ადგილი, რაც ნიშნავს, რომ ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტი, რომელიც 100 მლნ დამატებით ტონაზე იყო გათვლილი, არის ჩვენი ქვეყნის მომავალი და სტრატეგიული პროექტი. ამიტომ, ვისაც უნდა განავითაროს ანაკლია, მოიტანოს დაფინანსება რაც შეიძლება სწრაფად და ჩვენ მას გაუწყებთ ყველაფერს. ფოტმა რა ვალდებულება აიღო – დამატებითი ტვირთების მოზიდვის და სიმძლავრეების შექმნა, უნდა განახორციელოს 2 წელიწადში. ფოტის პორტის ვალდებულებაა, უახლოესი 2 წლის განმავლობაში 350 მლნ დოლარის ინვესტირება და, მინიმუმ, მშენებლობის

მაშინ უნდა თქვა, რომ ფოტის გაფართოება საკმარისი არ არის. თუ ხუთი წლის შემდეგ საჭირო იქნება 8 მლნ ტონა ახალი ტვირთის დამუშავება და წარმოიშვება სიმძლავრეების პრობლემა (2 მლნ. ტონას ვერ მიიღებ), მაშინ რატომ აკეთებ იმას, რაც უახლოეს მომავალში პრობლემას არ ხსნის? ამასთან, რომელი ინვესტორი დააკავუნებს ისეთი პროექტისთვის, რომლის შედეგიანობა 6-7 წლის მანძილზე არ ჩანს? ფოტის ეს პროექტი ანაკლიის პროექტის პერსპექტივის ისეთი დახურვაა, რომელიც საქართველოს განვითარების მომავალს აზიანებს.

უნდობლობას აძლიერებს ისიც, რომ საინვესტიციო ღირებულებად პრემიერ-მინისტრი ასახელებს 350 მლნ აშშ დოლარს, ხოლო „ეიპიემ ტერმინალს ფოტის“ გენერალური დირექტორი, კელდ

**საქართველოს ეკონომიკური მომავლისა და განვითარების მთავარი მიმართულება შავი ზღვა, საქართველოს შავი ზღვის შელფი, ეკონომიკური ზონა, კონვენციური ტერიტორიული წყლები, სანაპირო და მიმდებარე რეგიონებია.**

სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფოს ვერცერთმა ხელისუფლებამ სახელმწიფოებრიობის ადგილის შესამედი საუკუნის მანძილზე ვერ მოახერხა ხანგრძლივადიანი სტრატეგიის შემუშავება და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად მოქმედება. პირიქით, მოქმედება ხდება იმპულსურად, არათანმიმდევრულად, ჯგუფური და პოლიტიკური კონიუნქტურისა და ინტერესების მიხედვით. ეს საქართველოს მხრიდან.

რაც შეეხება საქართველოში მტრების თუ მოყვრების (ასეთი დაყოფის პირობითობა ყველასთვის ცნობილია, როდესაც საუბარია პოლიტიკაზე) ინტერესების გატარებას, ის ერთი წუთითაც არ წყდება, გინდ ომი იყოს და გინდ მშვიდობა, გინდ საღალბო მდგომარეობა და გინდ – საგანგებო!

დღეისათვის შავი ზღვის სანაპირო ზოლის 310 კილომეტრიდან 195 ოკუპირებულია!

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მეორე დღეს, 22 მარტს, ამ 195 კილომეტრის მაკონტროლებელი ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი არალეგიტიმური არჩევნებით (მეორე ტური) ასლან ბუჯანია გახდა.

კონტროლირებადი 115 კილომეტრის ყველა მეტრის მდგომარეობა და გამოყენება უნდა იყოს განერილი სახელმწიფო სტრატეგიაში. რეალურად აქაც სხვაა. შავი ზღვის ეკონომიკა გამიჯნულია საპორტო ქალაქებისა და მიმდებარე ტერიტორიებისა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკისაგან. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთლიანი კონტექსტიდან ამოვარდნილ განიხილებოდა ანაკლიის პორტის მშენებლობა, ასევე, ამ კონტექსტის გაუთვალისწინებლად მოხდა მისი მშენებლობის შეწყვეტა. იგივე პრინციპით დაიწყო ფოტის ნავსადგურის გაფართოების გეგმაზე საუბარი. მთავარია, რომ ყველა ეს პროცესი მიმდინარეობს სკანდალების, აჟიოტაჟის, პოლიტიკოსების დაპირისპირების, სახელმწიფო ჩინოვნიკების ისეთი განცხადებების ფონზე, როდესაც ნათლად ჩანს, რომ სცენაზე დაქირავებული (დავალებული) აქტიორები არიან, ხოლო პიესას სხვა წერს და ეს სხვა სრულიად უკანონოდ არ არის ქართველი ხალხი, ეს პიესა არ ემსახურება საქართველოს მომავალს.

ასეთი წინაისტორიის გამო, ა.წ.27 მარტს, კორონავირუსის გაგანია პანდემიის დროს, „ეიპიემ ტერმინალს ფოტის“ (APM POTI TERMINAL) კორპორაციისადმი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან (სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ), ფოტის ნავსადგურის გაფართოებისთვის მიწათსარგებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ინფორმაციამ შოკის ეფექტი იქონია.

ამ შემთხვევაში კანონიერების კი არა, არამედ მიზანშეწონილობის საკითხი დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ეს კიდევ უფრო გააძლიერა პრემიერ-მინისტრის პოზიციამ, რომ ფოტის იყოს

## სამეგრელოს რეგიონი, უესაძლოა, ჩაიკეტოს



**სამეგრელო-ჯემო სვანეთის გუბერნატორის ალექსანდრე მონერელიას ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუკი კორონავირუსით ინფიცირებული სპორტსმენის სამ უშუალო კონტაქტს განმეორებთი ანალიზის შემდეგ კორონავირუსი დაუდასტურდა, რეგიონი, უესაძლოა, ჩაიკეტოს.**

საუბარია სამ კონტაქტზე, რომელსაც ჩატარებული ანალიზით კოვიდ-19 არ დაუდგინდა. ისინი ინფექციური სავადმყოფოდან ანაკლიის საკარანტინო სივრცეში უკვე დააბრუნეს. გუბერნატორი ამბობს, რომ ინფიცირებული პირის კონტაქტების წრე ფართოვდება.

## კამდენიმე ქალაქში აბრარული ბაზრები დაიკეტა

**გუშინ თელავისა და გურჯაანის აგრარული ბაზრები დაიკეტა. „ქრონიკის“ ინფორმაციით, შესაბამისი რეკომენდაცია სურსათის უვნებლობის სამსახურმა გასცა და ბაზრების ადმინისტრაციას შეატყობინა.**

მუშაობის შეწყვეტასთან დაკავშირებით მოვაჭრეები წინა დღით გააფრთხილეს. დაიკეტა ზუგდიდის და სენაკის ბაზრებიც. გადაწყვეტილება სამეგრელო-ჯემო სვანეთის გუბერნიის ადმინისტრაციამ საკოორდინაციო საბჭოსთან მოლაპარაკების შედეგად მიიღო. მიზეზი უსაფრთხოების ნორმების დარღვევის რამდენიმე ფაქტი გახდა. მოვაჭრეები ვაღის გახანგრძლივებას 10 აპრილამდე ითხოვენ. ქალაქის მერიის ინფორმაციით, ვირუსის გავრცელების საფრთხიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გადავადება არ განიხილება.



# გლობალურმა კარანტინმა დედაიინის მოძრაობა როგორც უსვალა!

კორონავირუსის პანდემიამ მთელ მსოფლიოში ქაოსი გამოიწვია. ვირუსის შესაჩერებლად მიღებულმა ზომებმა შეიძლება, გავლენა პლანეტის მოძრაობაზეც იქონიოს – ცოტათი შეანელოს. დედაიინის მოძრაობის შემსწავლელ მეცნიერთა ცნობით, შემცირდა სეისმური ხმაური – პლანეტის ქერქიდან მომდინარე ყოველ ვიბრაციებში. ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს სატრანსპორტო ქსელებისა და ადამიანთა სხვა საქმიანობების შეჩერება. მკვლევართა განცხადებით, ამ ფაქტის წყალობით, დეტექტორებს ახლა უკვე უძვირდება მინისძვრების დაფიქსირება. გარდა ამისა, უკეთესად არის შესაძლებელი ვულკანური აქტივობისა და სხვა სეისმურ მოვლენათა მონიტორინგი.



სეისმური ხმაურის შემცირება ბრიუსელის სამეფო ობსერვატორიამ შენიშნა; იქ მოღვაწე სეისმოლოგის ტომას ლეკოკის განცხადებით, ხმაურის ასეთი შემცირება მხოლოდ შობის დღეებში ხდებოდა და ისიც ცოტა ხნით. ბუნებრივი მოვლენების, მაგალითად, მიწისძვრების მსგავსად, დედაიინის ქერქის მოძრაობას მანქანებისა და სხვა სამრეწველო დაზარალების მოძრაობაც იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური წყაროს ეფექტი შეიძლება უმნიშვნელო იყოს, ისინი ერთობლივად წარმოქმნიან ფონურ ხმაურს, რომელიც სეისმოლოგებს ამავე სიხშირეში მომხდარი სხვა სიგნალების აღრიცხვაში ხელს უშლის. ლეკოკის განცხადებით, ობსერვატორიის სეისმოგრაფის მონაცემები აჩვენებს, რომ COVID-19-ის გავრცელების სანაშაღმდეგოდ ბრიუსელში მიღებულმა ზომებმა ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული სეისმური ხმაური ერთი მეტრამდე შეამცირა. ამ ზომებს 14 მარტს დახმარებული სკოლები, რესტორნები, საჯარო ღონისძიებები და ყველა არაგადამდებელი მოგზაურობის აკრძალვა დაემატა... ხმაურის შემცირებამ გააძლიერა ობსერვატორიის ალტრავილით მგრძობილობა, გააძლიერა მისი უნარი,

დაადასტუროს ტალღები სიხშირის იმავე მაღალ დიაპაზონში, რომელშიც ეს ხმაური მოქცეული. ობსერვატორიის ზედაპირის სეისმოგრაფი ახლა იმდენად მგრძობიარეა, როგორც მისი „კოლეგა“, 100 მეტრის სიღრმეში ჩამარხული სეისმოგრაფი, რომელიც მცირე ბიძგებსა და მალაროების აფეთქებებს აღრიცხავს.

ვაშინგტონის გაერთიანებული კვლევითი ინსტიტუტის სეისმოლოგის, ენდი ფრასეტოს განცხადებით, თუკი გლობალური კარანტინი მომდევნო თვეებშიც გაგრძელდა, ქალაქებში განთავსებულ დეტექტორებს მთელ მსოფლიოში, უჩვეულოდ კარგი შესაძლებლობა ექნებათ, რომ მიგვანიშნონ მინისძვრების წარმოქმნის ადგილი და აფეთქებები.

ხმაურის შემცირება ასევე სასარგებლო შეიძლება იყოს იმ სეისმოლოგებისთვის, რომლებიც ბუნებრივ ფონურ ვიბრაციებს, მაგალითად, ოკეანის ტალღების შედეგად წარმოქმნილ, იყენებენ დედაიინის ქერქის შესასწავლად. იმის გამო, რომ ვულკანური აქტივობა და წყლის შემადგენლობის ცვლილება გავლენას ახდენს ბუნებრივი ტალღების მოძრაობის სიჩქარეზე, მეცნიერებს ამ მოვლენების შესწავლა იმაზე დაკვირვების გზით შეუძლიათ, თუ როდის მიაღწევს ტალღა მოცემულ დეტექტორთან. ლეკოკის თქმით, ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ხმაურის შემცირებამ ამავე სიხშირეებში შეიძლება გაზარდოს ამ დეტექტორების მგრძობილობა ბუნებრივი ტალღებისადმი. „საუკეთესო შანსია ზუსტი გაზომვებისთვის“, – ამბობს ის.

**გლობალური კარანტინის გამო გამოწვეული ხმაურის შემცირება, გეოგრაფიკის გარდა, მსოფლიოს სხვა სეისმოლოგებზეც ვაქცია. თუმცა, ამ უჩვეულო ფაქტით სარგებლობა ყველა სადგური როდესაც ნახავს. სამხრეთის არის, რომ მრავალი სადგური მიზანმიმართულად არის განთავსებული მოგზაურულ ზონებში ან დროა მზარდი ილუზიაში, რათა თავიდან აიცილონ ადამიანთა ხმაური.**

ITV.GE

## ყველანაირ პანდემიას აპარსებებს!

ამერიკელმა მამაკაცმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის და ესპანური გრიპის პანდემიის გადაურჩა, ამჯერად კორონავირუსიც დაამარცხა და მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული ადამიანია, რომელიც კოვიდ-19-ის ვირუსს ცოცხალი გადაურჩა.



104 წლის ბილ ლაპსჩის კორონავირუსის სიმპტომები 5 მარტს დაუფიქსირდა, რომელსაც მოგვიანებით აღნიშნული დაავადება დაუდგინდა. იგი თავის დაბადების დღეზე გამოჯანმრთელდა – მას ხანდაზმულთა პანსიონატის თანამშრომლებმა ვირუსის დამარცხება დაბადების დღესთან ერთად მიულოცეს. ლაფსჩის მკურნალი ექიმის რობ რიჩარდსონის განცხადებით, პაციენტს გაუმართლა, რადგან დაავადება მძიმე ფორმაში არ გადაზრდილა და რესპირატორული პრობლემები არ გამოუწვევია. 25-დღიანმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო და ბილმა თავისი დაბადების დღე სოციალური დისტანცირების ნორმების სრული დაცვით იხეიმა. ბილ ლაპსჩი 1916 წელს დაიბადა ორეგონის შტატში. იგი უკლებლად გადაურჩა 1918 წელს გავრცელებულ ესპანური გრიპის ეპიდემიას, რომელმაც ამერიკის მოსახლეობის 28% (105 მილიონი) დააინფიცირა და 600 ათასი ადამიანი იმსხვერპლა. გამოიარა უმძიმეს ეკონომიკური სიდუხჭირე, რომელიც ამერიკაში 1929-1939 წლებში მძვინვარებდა დიდი დეპრესიის სახელით. 1943 წელს ბილი ამერიკის არმიაში გამოიძახეს – იგი ალუტის კუნძულებზე მიმდინარე ბრძოლებში მონაწილეობდა იაპონელთა წინააღმდეგ და უკლებლად გადაურჩა. წარსულში განვლილი უამრავი განსაცდელის შემდეგ, მან 2020 წელს მსოფლიოში გავრცელებული მკვლელი დაავადება კორონავირუსიც დაამარცხა.

## ბინდა, კორონა მოუკლია, ბინდა, ზღვაში დახვრივალა

ბაბეროს მიგრანტების საკითხში უზენაესი კომისიის სამმართველომ ევროკავშირის ხმელთაშუა ზღვაში მიგრანტების გადარჩენის ახალი მისიების განხორციელებისკენ მოუწოდა.



„ეს უძველესი არაპოლიტიკური პრინციპია, რომ ზღვაში დახვრივების საფრთხის წინაშე ადამიანების ბედის ამარად დატოვება არ შეიძლება“, – განაცხადა კომისიის წევრმა ნარმოდადგენელმა ფრანკ რემუსმა. მარტში ამოინურა ხელ შეკრულების ვადა, რომელიც 6 თვის წინ გერმანიამ, იტალიამ, საფრანგეთმა და მალტამ გააფორმეს. დოკუმენტი იტალიიდან ევროპის სხვა ქვეყნებში ზღვაზე გადარჩენილი მიგრანტების გადანიშნულების წესებს ადგენდა და მის გამო რომი იტალიის პორტებში შესვლის ნებას აძლევდა ხომალდებს, რომელთა ბორტზეც გადარჩენილი მიგრანტები იყვნენ. კორონავირუსის პანდემიის გამო შეთანხმება ჯერჯერობით არ გააგრძელეს. „მიგრანტების გადარჩენა ევროკავშირის ყველა წევრის საერთო პასუხისმგებლობაა, ამიტომ თავისი წვლილი რაც შეიძლება მეტმა სახელმწიფომ უნდა შეიტანოს“, – განაცხადა რემუსმა.

## ჩერნობილთან რადიაციის დონე იმატა

ჩერნობილის ზონაში ტყის ხანძრის გამო ატომური ელექტროსადგურის მახლობლად რადიაციის დონე იმატა. „ცუდი ამბებია – ხანძრის ცენტრში რადიაცია ნორმაზე მაღალია“, – დაწერა ფირსოვმა ფეისბუქზე. მის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოზე კი ჩანს, რომ გეიგერის მრიცხველზე დაფიქსირებული მაჩვენებელი ნორმაზე 16-ჯერ მაღალია. ტყის ხანძარი ჩერნობილთან 4 აპრილს დაიწყო. ბოლო მონაცემებით, ცეცხლი 100 ჰექტარის ფართობზე გავრცელებულია.

ბოლო 30 წლის მანძილზე მსოფლიო ეკონომიკამ გადაიტანა რამდენიმე გლობალური კრიზისი, თუმცა, არც ერთს არ შეუცვლია მსოფლიო ასე სწრაფად და კარდინალურად – კორონავირუსის პანდემია წარმოუდგენელი სისწრაფით ანგრევს სატრანსპორტო და სამრეწველო კავშირებს და საზოგადოებრივი ინსტიტუტების გადანაწილებას.

პარალელურად, სწავლების პროცესი და ბიზნეს-საქმიანობის დიდი ნაწილი გადადის დისტანციურ რეჟიმზე. მაგრამ ეს არის გზა არა უფსკრულისკენ, არამედ ახალი რეალობისკენ, რომელიც ევრდნობა ტექნოლოგიურ რევოლუციას და ინდუსტრიის მიღწევებს. თუმცა, გზა არ იქნება ადვილი.

## დისტანციური კომუნიკა

პირველ რიგში ცვლილებები დაეტყო ბიზნესს. ათასობით კომპანიას გადაჰყავს თანამშრომელთა დიდი ნაწილი დისტანციურ რეჟიმზე და ყველასთვის მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ თურმე სახლიდან მუშაობა არაფრით არაა ნაკლებად ეფექტური ვიდრე ოფისიდან.

დისტანციური მუშაობის პერსპექტივები წლების მანძილზე იყო ცხარე დებატების საგანი და უცხად გახდა რეალობა მილიონობით საოფისე თანამშრომლისთვის მთელ მსოფლიოში.

სავარაუდოდ, ეს გლობალური და იძულებითი ექსპერიმენტი აღმოჩნდება წარმატებული და გამოიწვევს შრომის ბაზრის რადიკალურ ცვლილებას და შესაბამისად, ახალ სოციალურ გამოწვევებს.

ოფისებში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების მთავარი შედეგი იქნება სახსრების ეკონომია – შემცირდება ხარჯები ფართების ქირაზე, მომსახურე პერსონალზე (მდივანებზე, დაცვაზე, მძღოლებზე, და ა.შ.), კომუნალურ გადასახადებზე, და ასევე ბიზნესის სტრუქტურის შეცვლა ვერტიკალურიდან ჰორიზონტალურზე.

არ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ რომელ საათზე მოვა ოფისში, რამდენი ხანი ისარგებლებს შესვენებით და რა აცვია. მნიშვნელობა ექნება მხოლოდ შრომის საბოლოო შედეგებს.

# როგორ უსვალის კორონავირუსი მსოფლიოს?

ეს გამოიწვევს წარსულის ისეთი ფეტიშებისგან განთავისუფლებას, როგორცაა სამუშაო კვირა და სამუშაო დღე. თუ შესაძლებელია გადასვლა ისეთ შრომით ურთიერთობებზე, სადაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პროდუქტს, არავის არ აინტერესებს რა დრო დასჭირდება დავალების შესრულებას. ყველაფერთან ერთად ეს არის დიდი შანსი ახალგაზრდა მემების და დედებისთვის – ბავშვის აღზრდა ამერიკიდან არ გამოიწვევს შეფერხებებს კარიერულ ზრდაში.

## პაჭრობა ძირის ბარზე

საბოლოო ჯამში ინტერნეტ-ვაჭრობა თითქმის მთლიანად ჩაანაცვლებს ტრადიციულს. პარალელურად მკვეთრად გაიზრდება სახლიში მიტანის სერვისი, ის გახდება უფრო მოქნილი და ზუსტი – არავინ არ დათანხმდება შექნილ პროდუქტს დაღვრადოს საათების განმავლობაში.

არ იქნება პრობლემა ასევე ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის მოზომვის პროცესი – დღეს უკვე მუშავდება შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები.

ბოლო წლებში მსხვილი სავაჭრო ქსელები განიხილავდნენ ონლაინ-ვაჭრობას თავის კონკურენტად, თუმცა, ხვალ ისინი აუცილებლად მიხვდებიან, რომ



დისტანციური ყიდვა-გაყიდვა არის მათი უპირატესობა მცირე და საშუალო ბიზნესთან ყიდვით.

სავაჭრო ფართებზე და გამყიდველების ნაწილზე ხარჯების ეკონომია შეამცირებს სავაჭრო ქსელების მთლიან დანახარჯებს 20-30%-ით, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ გაიზრდება მიტანის სამსახურების დაფინანსება.

გაზრდის თუ არა ეს მოგებას – იქნება დამოკიდებული კონკურენტულ ბრძოლაზე – დიდი ქსელების მხარეზე ისეთი ფაქტორები, როგორცაა რეპუტაცია, ხარისხის გარანტია, მაღალი ცნობადობა და მომსახურების ოპერატიულობა.



# „საქაღმისური წლის“ გამოცხადება კორონავირუსზე პრესკლავი სფრთხა!

აღმისი მოდემამ სხვადასხვა ეპოქაში ყველი, კეთრი, შავი ჭირი, მალარია, ქოლერა და ათასი სხვა განსაცდელი გადაიტანა. კორონავირუსის მძვინვარებაც, ერთობლივი ძალისხმევით, წარმატებით ჩაივლის. მაგრამ პოსტპანდემური პერიოდისთვის აქედანვე უნდა ვემზადოთ; დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე, ცხოვრების გაგრძელებაზე, ეკონომიკის აღორძინებაზე, სწავლასა და განათლებაზე უნდა ვიზრუნოთ, ჩვენი გასაკეთებელი ვაკეთოთ – ამ ბრძოლაში ეს იქნება ჩვენი წვლილი და ფრონტის წინა ხაზისთვის ზურგის გამაგრება.

...და ამ გაგანა „შეტაკების“ დროს, სოციალურ ქსელში, მედიასა თუ პრივატულ საუბრებში, ზოგი „საქმის მცოდნე“ ახალი კორონავირუსის გავრცელების შემთხვევებზე ერთ-ერთ ღონისძიებებად ჩანიშნული დისტანციური სწავლების არაეფექტიანობისა და 2020 წლის „აკადემიურ წლად“ გამოცხადების თემის გააქტიურებას ცდილობს. ნაწილი ამ მოსაზრებას, მართალია, არ იზიარებს, მაგრამ რა გააკეთოს, არ იცის; ფაქტობრივად, არავინ მსჯელობს იმაზე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან უკეთესი გამოსავალი მოიხაზოს.

დისტანციური სწავლება ეს არის ახალი უნარი, რომელიც ყველას არ აღმოაჩნდა. დავალებულ პირებს ახალ გარემოსთან ადაპტირება საგანგებო ვითარებაში მოუწიათ. ზოგმა ეს უნარი ადვილად მიიღო, ზოგმა გაუჭირდა, თუმცა მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ უმეტესობა აქტიურად ჩაერთო პროცესში და მონდომებას არ აკლებს. გამოხმაურებაც კარგია, და ვისაც სწავლა უნდა, აქტიურობა კიდევ – სიასლებს და მინოდებულ მასალას გულმოდგინედ ეხარება.

აქ სადავო არაფერია – აუდიტორიაში მეცადინეობასთან შედარებით, დისტანციური სწავლება საუკეთესო ფორმა არ არის. საგანგებო მდგომარეობაში კი არა, მშვიდ გარემოშიც მას განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება. მის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს ჰარმონიულად თანხვედრი ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები (აპარატურის კლასი, მეხსიერება, სიჩქარე, ინტერნეტზე წვდომა), ლექტორისა და სტუდენტების უნარები და განწყობითი მზობა, რაც, ცხადია, სასურველისგან ძლიერ შორსაა, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ამ ფორმით მასალის მიწოდება, ახსნა და კონსულტაციის განევა დღეის მდგომარეობითაც შეიძლება.

და მინც, სწავლის პროცესი მონდომებას, თავდაუზოგავ მეცადინეობას მოითხოვს. უშუქობის, სიცივის, შიმშილის პირობებშიც განათლებამიღებული ბევრი იცის ცივილიზაციის ისტორიამ. მით უფრო, დღეს ტექნიკა და ტექნოლოგია

ები იმის შესაძლებლობებს იძლევა, რომ დაინტერესებულმა პირმა ყველა საინტერესო ინფორმაციაზე წვდომა და განათლება დამოუკიდებლადაც, კომფორტულ ვითარებაში მიიღოს. შინაურ გარემოში არც კითხვა აკრძალული და არც – წერა.

ჩვენ, შესაძლოა, მოსაზრებები გამოვთქვათ დისტანციური სწავლების პროცესის გაუმჯობესების, მისი უახლოესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით აღჭურვისთვის წყაროების მოძიების, მასში ჩართული პირების ამ შესაძლებლობებით ურუნველყოფის თაობაზე, მაგრამ არამც და არამც 2020 წლის „აკადემიურ წლად“ გამოცხადების მხარდაჭერაზე. ვეჭვობ, ეს ხელს აძლევს მხოლოდ ქვეყნის კეთილდღეობის არაკეთილმოსურნეებსა და ახალ ვითარებაში ადაპტირების უუნარო პერსონებს.

2020 წლის „აკადემიურ წლად“ გამოცხადება, ფაქტობრივად, სწავლის ერთი წლით შეჩერებას, ყველა საგანმა-

ნათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროგრამის ამავე ვადით გადავადებას, ომში სტრატეგიული მადლობის დათმობას, უბრძოლველად მტრისთვის დანებებას, უკუსვლას და რეგრესს ნიშნავს; ეს ყველაფერი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, ეროვნულ გამოცდებზე უკვე რეგისტრირებული აბიტურიენტებისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების, აკადემიური პერსონალისთვის სახელფასო ანაზღაურების პრობლემების შექმნის მომავლედინებული პერსპექტივაა; ეს არის ახალგაზრდების დაუსაქმებლად მიტოვება, დასაქმებულთა უსახსროდ დარჩენა, ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება, უნარ-ჩვევების მოდუნება, უაზრო სუიციდი და, მაშასადამე, კორონავირუსზე არანაკლები საფრთხე.

თუ ეს საჭირო გახდა, მთავრობა შესაბამის გადაწყვეტილებას უთუოდ მიიღებს, მანამდე კი სასწავლო წლის „აკადემიურ წლად“ გამოცხადებაზე მონოდება, ნუნუნ, ვაი და ვიში, ზაფრავს ისედაც სასონარკვეთილ მოსახლეობას მაშინ, როდესაც ნუგეში, გამხნელება, იმედის მომცემა სიტყვის შეშველებაა უფრო საჭირო.

დისტანციური სწავლების პროცესის ხარვეზის შევსება, გადავადებულის ან გაცდენილის სანაცვლოდ დამატებითი საათების ჩატარება ყოველთვის მოხერხდება, მაგრამ „აკადემიური წლის“ უარყოფითი შედეგების განეიტრალებას კი რამდენიმე კალენდარული წელიც არ ეყოფა. ამიტომ, მომშობიო ვირუსის გავრცელების შესაზღვრად, „დარჩით სახლში“ და ორკეც ენერგიით იღვანეთ დისტანციურად სწავლებისგან შესაძლო სიკეთის მიღების გასაუმჯობესებლად. ეს უფრო გონივრულია!

იური პაპასჟა, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი

## გიორგი გახარია: უსაძლოა დაკლიოთ ისეთი გამოწვევა, როგორც არის საქაღმისური წლის გამოცხადება



„ბარდბ ამისა, მნიშვნელოვანია, რომ იქ, სადაც გვაქვს წარმატებები, ეს დავაფიქსიროთ. მოგესხენებათ, ერთ-ერთ ანგარიშში ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OECD) გამოაცხადა, რომ დისტანციური განათლების მოდელი, რომელიც საქართველოში იყო დანერგული ბოლო ერთი თვის განმავლობაში, არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მსოფლიოში. ამისთვის მინდა მადლობა გადავუხადო განათლების სამინისტროს. საზგასმით გამოყოფილი იყო ტელესკოლის პროექტი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული. ეს ის ნაბიჯებია, რომელმაც განათლების სამინისტროსთან ერთად შეიძლება მოგვეცეს საშუალება, დავძლიოთ ისეთი გამოწვევა, როგორც არის აკადემიური წლის გამოცხადება და ეს არ მოგვინიოს. ესეც არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი“, – განაცხადა გიორგი გახარია.

## ახალი მედიცინა და ახალი მოკალი

პანდემიამ გამოავლინა კაცობრიობის სოლიდარობის მზადყოფნა – ქვეყნებმა და ერებმა გააკეთეს ძალიან რთული და ამავე დროს მნიშვნელოვანი არჩევანი ეკონომიკისა და მოხუცთა სიცოცხლის შენარჩუნებას შორის. ისტორიული თვალსაზრისით ეს არჩევანი არა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე საპენსიო სისტემის და საყოველთაო მედიცინის ფორმირება მე-20 საუკუნეში.

ადამიანი წარმოადგენს აბსოლუტურ ფასეულობას, ის არ განისაზღვრება მხოლოდ ადამიანური კაპიტალით, მისი შრომის და ოჯახისთვის შემოსავლის მიღების უნარით. ეს სიტყვები გამოვლინდა მასობრივ საქციელში – ადამიანებმა უარი თქვეს საკუთარ კეთილდღეობაზე ასაკოვანი ადამიანების გადმარჩენად. ეს არის პირველი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც კაცობრიობას შეუძლია იამაყოს მშპ-ს ვარდნი – ეკონომიკა ეწირება რალაცას ბევრად უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე ფული და მოგება.

კორონავირუსის მისცემს ძლიერ ბიძგს მედიცინის განვითარებას. დღეს განვითარებული ქვეყნებში ჯანდაცვა არის ყოველი ადამიანის პირადი საქმე და პასუხისმგებლობა – ადამიანები თავიანთი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში ყიდულობენ დაზღვევას და შემდეგ მკურნალობენ.

პანდემიით გამოწვეული შოკი სავარაუდოდ გაზრდის საზოგადოების და მთავრობის პასუხისმგებლობას ადამიანების სიცოცხლის და ჯანმრთელობის საკითხებში. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ციფრული რევოლუცია იძლევა ამის საშუალებას. ადრეული დიაგნოსტიკა, ქრონიკულ დაავადებათა დისტანციური კონტროლი, ონლაინ კონსულტაციების მასობრივი გავრცელება – ყველაფერი ეს გაზრდის სახელმწიფო ჯანდაცვის მნიშვნელობას სადაზღვევოსთან შედარებით.

## გლობალური ბანათლება

წარმოუდგენელი ცვლილებებია მოსალოდნელი განათლების სისტემაში, რომელიც აღმოჩნდა გლობალური ტრანსფორმაციის წინა ხაზზე. ფაქტობრივად რამდენიმე

დღეში, მსოფლიოში თითქმის გაჩერდა დასწრებითი სწავლება, თუმცა, სკოლები და უნივერსიტეტები აგრძელებენ მუშაობას ონლაინ რეჟიმში.

ისინი, ვინც ჯერ ვერ გადავიდნენ – ემზადებიან ამისთვის. ადამიანები, სადაც არ უნდა იყვნენ, შეძლებენ ჰარვარდის, იელის, ოქსფორდის და სორბონის კურსების გაკლას.

კრიზისი დაარტყამს სწავლების უკვე მოძველებულ ფორმებს, ისეთებს, როგორცაა ლექციები, რომლებიც არ შეცვლილა XVI-XVII საუკუნეებიდან. დღეს უკვე უდავოა, რომ ონლაინ სწავლება ბევრად უფრო საინტერესოა და გაცილებით მეტად უწყობს ხელს სტუდენტების მობილიზებას.

თუმცა, რა თქმა უნდა, არც უნივერსიტეტები და სკოლები არ გაქრებიან სცენიდან – ადამიანი – სოციალური არსებაა და განათლების ხარისხი დიდნილადა დამოკიდებული საგანმანათლებლო გარემოზე, რომელიც ვერ იქნება მთლიანად ვირტუალური – ლაბორატორიებს, მეცნიერულ სამუშაოს და ექსპერიმენტებს, ერთად მუშაობის უნარ-ჩვევებს, ასევე სპორტულ და კულტურულ აქტიურობას ვერ შეცვლის ვერანაირი დისტანციური სწავლება.

ახალი ტექნოლოგიების წყალობით განათლება გახდება ნაკლებად ფორმალური და უფრო პრაქტიკულ შედეგზე გათვლილი. სასწავლო კონტენტის შედგენაში მიიღებენ მონაწილეობას IT-გიგანტები, სასწავლო პროდუქტები დაკარგავენ აკადემიურობას, ხოლო სახელმძღვანელოებს შეცვლიან ციფრული ინტერაქტიული კომპლექსები.

ყველაფერი ეს სატრანსპორტო დანახარჯებს მკვეთრად შეამცირებს, სულ უფრო ნაკლები ადამიანი ივლის სამსახურში, სკოლაში, ან უნივერსიტეტში, გაქრება საგზაო საცობები, მკვეთრად შემცირდება სატრანსპორტო დანახარჯები, შესაბამისად, გაიავდება ნავთობი და გაზი.

საბოლოოდ, როდესაც კორონა-კრიზისი გადაივლის, სამყარო ჩვენს ირგვლივ იქნება სულ სხვანაირი.

## ქახა კალაძე: ჩვენი სპორტსმენები ყოველთვის იქ დგანან, სადაც ქვეყანას სჭირდება!



თბილისის მერი კახა კალაძე სპორტის სფეროში მოღვაწე ადამიანებს სპორტის საერთაშორისო დღეს ულოცავს.

„ველოცავ ჩვენს საამაყო სპორტსმენებს და სპორტის სფეროში მოღვაწე ადამიანებს სპორტის საერთაშორისო დღეს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კორონავირუსის გამო შექმნილი მძიმე ვითარება სპორტულ აქტიურობებზეც აისახა, არ უნდა დაგვავინწყდეს ის როლი, რაც ამ ადამიანებს ჩვენს ქვეყნის წარმატებასა და ჩვენი ხალხის გაბედნიერებაში აკისრიათ.“

ჩვენი სპორტსმენები ყოველთვის იქ დგანან, სადაც ქვეყანას სჭირდება და ახლაც, ვირუსის გამო შექმნილი ვითარების ფონზე, მათი მხრიდან არაერთი სოლიდარობის მაგალითი და ღირსეული ნაბიჯი ვიხილეთ.

დაწმუნებული ვარ, ერთად ყველა გამოწვევას დავძლევთ და ქართველი სპორტსმენები კიდევ ბევრ სიხარულს და ბევრ წარმატებას მოუტანენ ჩვენს ქვეყანასა და ხალხს“, – წერს კახა კალაძე.

კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად, ბელარუსში საფეხბურთო ჩემპიონატი შეუფერხებლად მიმდინარეობს და მესამე ტურში ქართული დერბიც შედგა.



სოლიგორსკის „შახტიორმა“ „ნემა“ მიიღო და მაშინ, როცა გუნდები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს, მოედანზე სამი ქართველი იყო. მასპინძელთა რიგებში გეგა დიასამიძემ 85 წუთი ითამაშა, ხოლო ლაშა შინდაგორიძე 69-ე წუთიდან ჩაერთო ბრძოლაში. რაც შეეხება სტუმრებს, გიორგი ქანთარიაშვილმა უეფცელად ითამაშა და 64-ე წუთზე გააფრთხილეს. ორივე კლუბს სამი ტურის თავზე 4-4 ქულა აქვს და მეექვსე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებს. სხვათა შორის, ბელარუსის გარდა, ფეხბურთს ახლა მხოლოდ ბურუნდისი და ნიკარაგუაში თამაშობენ.



გერმანულ ZDF-თან საუბარში ალექსანდრ ჩეფერინმა ჩემპიონთა და ვერობა ლიგების 3 აგვისტოს დასრულების შესახებ ისაუბრა, თუმცა, გუშინ თავად უეფამ ეს ცნობა უარყო.

„გავრცელდა ინფორმაცია, რომ ალექსანდრ ჩეფერინმა ჩემპიონთა ლიგის დასრულების თარიღად 3 აგვისტო დაასახელა. ეს სიმართლე არაა, რადგან პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სეზონის დასრულების თვის ზუსტი თარიღი ჯერ არაა მითითებული. უეფა ყველა ვარიანტს დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შეაფასებს. ყველას პრიორიტეტია ჯანმრთელობის დაცვა. შემდეგ ვნახავთ, რა გადაწყვეტილებას მივიღებთ. ამ მომენტში შესასწავლია ივლისისა და აგვისტოში თამაშის შესაძლებლობა“, — ნათქვამია განცხადებაში. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე უეფაში შეწყვეტილი სეზონის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღიათ და ყველა ვარიანტი განიხილება.



მისინის „ბაიერი“ დღეს სანკრთელ პროცესს განახლებს, წერს ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა L'Equipe, თუმცა, ჰანს-დიტერ ფლიკის გუნდს რამდენიმე რეგულაციის დაცვა მოუწევს. კერძოდ, რეკორდსმისტიერ სუთ ჯგუფად დაიყოფა, სადაც კიდევ ოთხი სხვადასხვა კომპონენტის დაცვით ივარაუდება, რომლის დასრულების შემდეგ შხაპის მიღებას ბაზის ნაცვლად მოთამაშეები მხოლოდ სახლებში მოახერხებენ. აქვე გეტყვით, რომ ორი დღის წინათ კარლ-ჰაინც რუმენიგემ გერმანული გუნდების სურვილზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც ყველა თანხმდება, რომ სეზონი უნდა დასრულდეს.

გიორგი შოთაძე

ერთი საღამოს რედაქტორმა მითხრა, ხვალ ბათუმში საყურადღებო ღონისძიება იმართება და დღესვე მივლინებით უნდა წახვიდეთ.

სხვა რა გზა იყო: სამდივნოს სასწრაფოდ ჩავაბრუნე ნომრის მასალები და შინ წასასვლელად რომ ვემზადებოდი, ოთახში განყოფილების გამგემ შემოიხედა.

— ოჰ, აქ არ ყოფილხარ?! ერთი ეს წერილი მოამზადე დასაბეჭდად. — მითხრა მან და ხელში ცნობილი პროფესორის (მაშინ ყველა პროფესორი ცნობილი იყო) სტატია შემომამჩნია.

— ბათუმში მივდივარ მივლინებით, დამავიანდებ, — უარის თქმა ცვადა.

— მიღეთი ხომ გაქვს, შე კაცო, მატარებელი უშენოდ სად წავა, — მითხრა ხუმრობით და კანი გაიხურა.

რა უნდა მექნა!

მატონი ირაკლი, დემეტრე ნათელაძე ამყოფოს, საერთოდ, კარგად წერდა და სტატიის გასწორებას დიდი დრო არ წაურთმევია. ამჯერად ვეტყვანი ფეხბურთელის

იყურება და ფეხბურთით ცოცხლობს-მეთქი.

— ჰო, მაგრამ, — მატონ ირაკლის ხმა აუკანკალდა. — სამი წლით წინათ, როცა ასაფლავებდნენ, მე თავად რომ მივყავარე მიწა?!

გავმრი. ჩემ წინ ზღვა შეტორტმანდა და მზესავით კინალამ მეც ჩამიკრა გულში.

თავი ძლივს შევიმარგე. მიწა გამსკდომოდა, მერჩია.

— ეს რა მიქენით... როგორ შეეხელო თვალეში ოჯახის წევრებს ან მეგობრებს... — მომესმა ყურმილის მეორე ბოლოდან.

— მატონო ირაკლი, თბილისში ხვალ დავბრუნდები... როცა მეტყვით, ერთად მივიდეთ ოჯახში და პატივს ვთხოვთ ამ გაუგებრობის გამო. — იმ წუთას სხვა სანუგეშო ვერაფერი მოვიფიქრე.

— ეჰ, ეს უშველის საქმეს? — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ხანდაზმულმა პროფესორმა და ტელეფონი გათიშა.

მეორე დღესვე მატონ ირაკლის შევეხმინე. ჯერ იუარა, მაგრამ მერე, როგორც იქნა, ფეხბურთელის ოჯახში მისვლაზე დავითანხმე.

სალამოს საღამო-მაზოსთან შეხვედრით ერთმანეთს. დანა პირს არ უხსნიდა.

უხმოდ ავეყვივით კიბის საფეხურებს. ვგრძნობდი, რომ ორივეს ფეხი უკან გვეჩნებოდა.

მეორე სართულზე დილაპს დავაჭინე თითი.

— ახლავე, — მოისმა ოთახიდან. ჩემს მეგზურს შევეხდე.

ფერი არ ედო. ერთი კი გავიფიქრე, ხომ არ დავგვოცავინ, ბოლო-ბოლო შეგვაგინებენ, ამას კი როგორმე ავტან-მეთქი.

კარი შუახანს გადაცილებულმა მამაკაცმა გაგვიღო.

— აა, მატონო ირაკლი, მომზადდით! — ხელეში გაშალა სახეგაბადრულმა მასპინძელმა.

— მაპატიეთ, მატონო, მოდიხს სათქმელად მოვედით, ჩემი ბრალია ყველაფერი... — ის იყო, მთელი დამე მატარებელში მომზადებული სიტყვა რომ უნდა მეთქვა, მაგრამ ვინ გაყალა.

— მამა გამიცოცხლეთ და საბოლოო რა გაქვთ?! — ისე გადაიხანჩანა, ამის თქმას, რომ შეეგინებია, ის მერჩია.

— მატონო ირაკლი, უცხოსავით რა შორს დგახართ, შინ შემობრძანდით. — ახლა ჩემს თანამგზავს მიმართა. გული მომეცა და კარის ზღურძლისკენ პირველმა გადავდგი ნაბიჯი. მატონი ირაკლიც შემომყვია.

— თქვე კაი ხალხო, შეცდომა ვის არ მოსვლია. — გურამს (ასე ერქვა ფეხბურთელის შვილს) სახიდან ღიმილი არ წაშლია. — ისე, რომ იცოდეთ, მიჭებმა კაი სუფრა კი შემაწერეს — მამა ცოცხალი გყოლია და ამას გვიმალავდით?! — ვვლავ ჩავვირტყა მასპინძელმა. — ნამდვილად კარგი მამა მყავდა, ამ შაბათს იუბილეს გადავუხდი და, მატონო ირაკლი, მეორედ თხოვნა აღარ დამჭირდეს — ორივენი დაპატიუებული ხართ.

სანამ რამეს ვეტყვოდი, ცოლს გასძახა, მაგიდა გააწყვეო.

მალე მართლაც ზღაპრული სუფრა გაიშალა. გარდაცვლილი ფეხბურთელის შესანდობარი ხაშმის საფურავით დავლიეთ. რამდენიმე ჭიქის შემდეგ კი გაზეთში დაბეჭდილი სტატია აღარც გავგვსენებია.

ვაჟა დანელია

საინტერესო უამოქმედი




ვაჟა ნიძიძე (1937-2020), საერთაშორისო ოსტატი (1989) და არბიტრი (1980), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ეტიუდების შედგენაში (1987), უფროსი „შახმატის“ (რიგა) ეტიუდების განყოფილების რედაქტორი (1978), გამოქვეყნებული აქვს 200-მდე ორიგინალური ნაწარმოები. მისი სტატიები დაბეჭდილია ენციკლოპედიურ ცნობარ „ჭადრაკში“ (მოსკოვი, 1990). საერთაშორისო კონკურსებში წარდგენილი 100-ზე მეტი ეტიუდიდან 10-მა პირველი ადგილი დაიმსახურა. რამდენიმე წიგნის ავტორი და თანაავტორი გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი იყო. გადაჯობთ საერთაშორისო დიდოსტატის (1952), საჭადრაკო ლიტერატორის და მიმოხილველის მარკ ტაიმანოვის

ვის კომენტარებს ვაჟა ნიძიძის შემოქმედებასთან დაკავშირებით. „საჭადრაკო ეტიუდები, როგორც საჭადრაკო ხელოვნების ნაწარმოებები, გამოირჩევიან არა მარტო შინაარსის ორიგინალობით, არამედ ფორმის სრულყოფით, რაც ალგვირავს ესთეტიკურ გრძობებს. ვაჟა ნიძიძის ეტიუდები სწორედ ასეთი ღირსებებია არიან წარმოდგენილი. — საჭადრაკო დაფაზე არც თუ ბევრფიგურაირად შევებს მატერიალური უპირატესობა აქვთ. რაც შეეხება თეთრებს, მოცემულობის მიხედვით მათ პარტია უნდა გადაარჩინონ! ვნახოთ, როგორ მიაღწევენ ამას. — საველი ტარტაკოვერმა ხოსერაულ კაპაბლანკას ერთ-ერთი პარტიით ალტაცებულმა წარმოთქვა: „მარტო ტექნიკა კი არა, არამედ რამდენი მომხიბვლელი მოხდენილობაა ჩაქმოვილი. სწორედ ასეთი გამონათქვამი შეესიტყვისება ვაჟა ნიძიძის ეტიუდების შეფასებას“, — ამბობდა მარკ ტაიმანოვი.

თავაზო შენგელია

3. ნიძიძე „შახმატი 3 სსსრ“, 1963



შენიშვნა: საველი ტარტაკოვერი (1886-1956), საერთაშორისო დიდოსტატი (1956), საჭადრაკო თეორეტიკოსი და ლიტერატორი, სამართლის დოქტორი. მოგებული აქვს საერთაშორისო ტურნირები ჰასტინგსში, (1946), ვენეციაში (1947), პარიზში (1955); მე-9 მსოფლიო ოლიმპიადაზე (1954) გამოდიოდა საფრანგეთის გუნდის შემადგენლობაში.

სასილასო მუქარას 1... ხლ უპიხსპირიყებრ  
ჟამაის მუქარა 1. ე.ე. 4-ე2 მძ1-ქ2  
② მხვ: ქ2+ ჰიკის უკინს არ ზიბილენ ე.ზ.?  
ქ: ხვ. 3. მუხვ ქ1 მუქქ ჯა შვინი ივანენ  
② ... ლვ: ქ2 3. ე.ე. 2: ზ2! ჰქლ? მძინ  
4. ე.ე. 4+! ლ: ქ1-წატი  
ქ1-ზე შვინი იუ გაყოყსილენენ ჯა ჰიკის,  
ელდს არ კეს-წატიან. მხეყარის შემიხვევაში კი  
ქუხეყვანევი. მის გარეკვი თქვენთვის მოგვრჩიან

# ხარება

7 აპრილს მართლმადიდებლური სამყარო ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს ხარების ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს. ამ დღეს ყოველდღე მარიამთან ერთად მთელ კაცობრიობას ეუწყება, რომ სახიერმა

ღმერთმა ადამიანი სიკვდილისა და ცოდვის სამუდამო ტყვეობისათვის ვერ გაიმეტა და ეშმაკის მონობისაგან მისი გამოსხნა გადაწყვიტა. ეს დღე არის დასაბამი ჩვენი ცხოვნებისა. ყოველდღე მთელი მსოფლიო



ლის ხარება ბრწყინვალე ქრისტიანული დღესასწაულია და იგი 12 საუფლო (უძრავი) დღესასწაულთაგანია.

იმის შესახებ, თუ სად და როდის გაჩნდა პირველად ხარების დღესასწაული, არაფერია ცნობილი. მხოლოდ ის ვიცით, რომ 560 წელს იმპერატორმა იუსტინიანემ ხარების აღნიშვნის თარიღად 25 მარტი (ახალი სტილით 7 აპრილი) მიუთითა.

დღესასწაულის სახელწოდება – ხარება, მასთან დაკავშირებული მოვლენის მთავარ არსს გადმოსცემს: მარიამ ღვთისმშობლისათვის ხარებას, რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე – ძე ღვთისა. წმინდა ნერონის თანახმად, გაბრიელ მთავარანგელოზი ქალწულ მარიამს გამოეცხადა და ახარა, რომ ის ძეს ღვთისას შობდა და ამით ის ძე კაცისა გახდებოდა.

მარიამმა ანგელოზს მიუგო: „აჰა, მხევალი ვარ უფლისა. მეცნობ შენი სიტყვისამებრ“. ამ ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე ღმერთი ვერ განკაცდებოდა. საეკლესიო თქმულება ამბობს, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ქალწულ მარიამს მთავარანგელოზი გამოეცხადა, ის წინასწარმეტყველ ესაიას წიგნს კითხულობდა, სიტყვებს მესიას დაბადების შესახებ.

## წმინდა სესხლს სასრუისით ჩამოიტანენ

საძარბაველოში წმინდა ცეცხლს, Georgian Airways-ის თელ-ავივი-თბილისის სპეცრეისით ჩამოიტანენ. საქართველოში წმინდა ცეცხლი ტრადიციულად Georgian Airways-ის რეისით ჩამოიტანდათ, თუმცა COVID-19 პანდემიის გამო ისრაელის მიერ, ისევე როგორც საქართველოს მიერ რეგულარული ფრენები შეჩერებული იყო.

როგორც ირკვევა, ავიარეისი 18 აპრილს, სალამოს შესრულდება, რომელიც საქართველოში წმინდა ცეცხლს ჩამოიტანს. სპეცრეისით სამშობლოში საქართველოს მოქალაქეებიც დაბრუნდებიან, რომელთაც ქვეყანაში დაბრუნება სურთ. აღნიშნულ ავიარეისებზე ბილეთები გაიყიდება რეისის თარიღამდე 2 დღით ადრე, კომპანიის ვებ-გვერდზე, ბილეთის ფასი განსაზღვრულია 199 ევრო.

როგორც რამდენიმე დღის წინ საქართველოში ისრაელის ელჩმა რან გიდორმა სოციალურ ქსელში დაწერა, ისრაელის საელჩო, საქართველოს ხელისუფლება და საპატრიარქო ინტენსიურად თანამშრომლობენ, რათა მოხდეს წმინდა საფლავის ტაძრის ცეცხლის ჩამოტანება ქართველ მორწმუნეებთან.

„წელს, მაცხოვრის საფლავის ტაძარში, წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის დღესასწაული განსხვავებულ პირობებში გაიმართება.“

ღვთისმსახურებას 15-მდე აღმოსავლეთ მართლმადიდებლური ეკლესიების წარმომადგენელი დაესწრება, ხოლო წმინდა ცეცხლის გაგზავნა მარ-

თლმადიდებლურ ქვეყნებში მოხდება შესაბამისი დელეგაციებისა და ისრაელის პოლიციის ესკორტის დახმარებით.

გაცნობებთ, რომ ისრაელის საელჩო, საქართველოს ხელისუფლება და საპატრიარქო ინტენსიურად თანამშრომლობენ, რათა მოხდეს წმინდა საფლავის ტაძრის ცეცხლის ჩამოტანება ქართველ მორწმუნეებთან“, – დაწერა ელჩმა.



ისრაელის ხელისუფლების გადაწყვეტილებით იერუსალიმში აღდგომის კვირაში ღვთისმსახურების ცერემონიები შეზღუდვებით წარმართება. აღდგომის კვირა კათოლიკური ეკლესიისთვის წელს 5 აპრილიდან, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ასევე სომხური, კობტური, სირიული კობტური და ეთიოპიური ეკლესიებისთვის კი, 12 აპრილიდან იწყება.

## ბზის მოჭრაზე კონტროლი მკაცრდება

ბარამოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბზობის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით, ბზის

მოჭრაზე კონტროლს ამკაცრებს. ტყეში ბზის მოჭრა, ამოძირკვა ან ტოტების დაზიანება დასჯადი ქმედებაა. საჯარიმო სანქციების

ოდენობა 500-დან 1000 ლარამდეა, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანი აჭარბებს 1000 ლარს, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.

ბზა შესაძლებელია, მოპოვებული იყოს მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული სანერგებიდან, ხელოვნურად გაშენებული პლანტაციებიდან – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ადგილწარმოშობის ცნობის საფუძველზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოსახლეობას, ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოსა და კერძო საწარმოებში გამოყვანილ ბზას სთავაზობს.



### ცხოვნება

## ჩაინდული თვისებებით უამკული



დომენტი გაბუნიას გამოსათხოვარი

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 79 წლისა გარდაიცვალა ინსტიტუტის ძირძველი მუშაკი, ცნობილი მეცნიერი და ღვანლმოსილი მოქალაქე დომენტი (დომიკ) გაბუნია.

დომენტი გაბუნია 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო იმ დროისთვის ჯერ კიდევ იდუმალებით მოცულ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად. საქმე ის არის, რომ 1941-45 წლების ომის შემდეგ ტყვეობაში მყოფი გამოჩენილი გერმანელი მეცნიერების, პროფესორ მანფრედ ფონ არდენის, ნობელის პრემიის ლაურეატის გუსტავ ლუდვიგ ჰერცის და მათი მიმდევრების მიერ გერმანულ ყაიდაზე გამართულმა ამ მეცნიერულმა კერამ დიდ, ახალ მეცნიერულ მიმართულებებს დაუდო დასაბამი. მათ შორის უნდა აღინიშნოს ბორისა და მისი ნაერთების, როგორც ბირთვული ენერგეტიკისათვის მნიშვნელოვანი მასალის მიღებისა და კვლევის აუცილებლობა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მეტალურგიის ინსტიტუტში შეიქმნა ბორის, მისი ნაერთებისა და შენადნობების სპეციალიზირებული ლაბორატორია, სადაც 1965 წლიდან დომენტი გაბუნია, როგორც ასპირანტი, დაიწყო თავისი მეცნიერული საქმიანობა. იგი ინსტიტუტში მოვიდა თავისი მეცნიერული პროგრამით და უკვე გარკვეული ქონდა კვლევის ჩარჩოებიც, რაც გულისხმობდა ბორისა და მისი მრავალფეროვანი არაორგანული ნაერთების ფიზიკურ-მექანიკური და ელექტრო-ფიზიკური თვისებების კვლევას. ბატონი დომენტი გამოირჩეოდა დიდი მიზანსწრაფულობით, იგი „ჯუიტიდა“ მისდევდა თავის პროგრამას და ერთი მისხალი თავი არ ასცდენია მას. ალბათ, ამის შედეგია მის მიერ უმაღლეს დონეზე შესრულებული ის 150 მეცნიერული ნაშრომი, რომელთა დიდი უმრავლესობა გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და მოხსენებულია პრესტიჟულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე.

დ. გაბუნია მკვლევარი-მეცნიერის უმაღლეს საფეხურს მიაღწია და ამიტომ 1984 წელს, როგორც ერუდიტი და ფართო დიაპაზონის მასალათმცოდნე, სწავლული მდივანის სახით, ინსტიტუტის მეცნიერული პროცესის ორგანიზატორად აირჩიეს, ხოლო 2012 წლიდან იგი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა.

ბატონი დომენტი წარმოშობით ბათუმელი კაცი იყო. მშვენიერი მამაპაპისეული სახლიც ჰქონდა ბათუმის ცენტრში, მაგრამ დასასვენებლად ყოველთვის მთაში დადიოდა. იგი მთის მოყვარული კაცი იყო, ახალგაზრდობაში მთამსვლელობა ალპინიზმად და საბითო-ტურისტულ ექსპედიციებშიც მონაწილეობდა, სამთო თხილამურებსაც მარჯვედ ფლობდა. ამიტომ გასაგებია, რომ ჭარმაგ ასაკში იგი ჩვეული ენთუზიანობით ჩაერთო არასამთავრობო ორგანიზაციის – საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირის (სმმკ) დაფუძნების პროცესში. კავშირი მისივე ისახვედა ოთხმოდაათიანი წლებში მომხდარი ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრების შედეგად საქართველოს მთიანი მიწა-წყლის მოსახლეობის უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიებას.

დ. გაბუნია გახლდათ სმმკ-ის გამგეობის უცვლელი მდივანი და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს მთის კანონმდებლობის დახვეწასა და მისი აღსრულების ეფექტური გზების დამუშავებაში; იგი საქართველოს მთის პრობლემებთან დაკავშირებული მრავალი პროექტის ავტორი და შემსრულებელია. ამ პროექტების დამუშავებით მიღებული შედეგების უმრავლესობა გამოქვეყნებულია მეცნიერულ გამოცემებში, და მათ, პრაგმატული მნიშვნელობის გარდა, მეცნიერული ღირებულებაც გააჩნიათ. რაც, რასაკვირველია, ბატონ დომენტის დამსახურებაცაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბატონი დომენტი სვანეთში ოცამდე სამთო-ტურისტული მარშრუტის დაკვალვა-მარკირების ერთ-ერთი მოთავე იყო, ხოლო მარშრუტები მაზერი-ცეცრი და მესტია-წვირი უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით დაიკვალა.


ბატონი დომენტი იყო ეროვნული ენერგიით დამუხტული, რაინდული თვისებებით შემკული, უაღრესად სათნო პიროვნება, მოსიყვარულე მეუღლე, გამორჩეული ქალ-ვაჟის მამა, ბრწყინვალე შვილიშვილების ბაბუა და უღალატო მეგობარი.

ინსტიტუტი ამ მოსაგონარით ემშვიდობება ბატონ დომენტის მაღალ სულს და მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქვეყანაში COVID-19-ით გამოწვეული მძიმე ვითარების გამო სათანადოდ ვერ გამოიგლოვა ჩვენი საზოგადოების ისეთი ღირსეული წევრი, როგორც ბატონი დომენტი გაბუნია გახლდათ.

**ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი**

# კორონავირუსის სტრუქტურა მუსიკად გარდაქმნეს

ალბათ უკვე ასობით ფოტო ნახეთ, რომელზეც დაავადება COVID-19-ის გამომწვევი ახალი კორონავირუსი SARS-CoV2-ია ასახული. ამჯერად, მეცნიერებმა მიაგნეს გზას, რომ ის მოისმინოთ კიდეც — ვირუსის ცნობილი წვეტი ცილების სტრუქტურა მათ მუსიკად გადა-თარგმნეს.



თუმცა რეალურ ცხოვრებაში, ეს ამინომჟავები სპირალივით არის დახვეული ან ფირფიტასავით გაჭიმული. ეს მახასიათებლები ნოტების ხანგრძლივობისა და ხმის შესაცვლელად გამოიყენეს. საკუთარი ხმა გამოსცა სიტბოს გამო წარმოქმნილმა მოლეკულურმა ვიბრაციებმაც.

ხმები, რომლებიც გესმით — ზარები, სიმები, ფლეიტა — წარმოადგენს წვეტების მსგავსი ცილის განსხვავებულ ასპექტებს. სწორედ ამ წვეტების საშუალებით აღწევს ვირუსი ჩვენს უჯრედებში. ყველა სხვა ცილების მსგავსად, ეს წვეტი ცილებიც ამინომჟავების სხვადასხვა კომბინაციისგან შედგება. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევრებმა ახალი ტექნოლოგიის, სახელად სონიფიკაციის გამოყენებით, თითოეული ამინომჟავა უნიკალურ მუსიკალურ ნოტს შეუსაბამეს და შედეგად, მთლიანი ცილა მუსიკალურ მონახაზად გარდაქმნეს.

საინტერესოა, რატომ უნდა გარდაქმნა ვირუსი მუსიკად? საქმე ის არის, რომ ახალი ფორმატი მეცნიერებს შეიძლება დაეხმაროს ცილის იმ ადგილების მოძებნაში, საიდანაც ის ანტისხეულებმა ან პრეპარატებმა შეებოჭოს; ამისათვის კი უბრალოდ საჭიროა სპეციფიკური მუსიკალური მიმდევრობების პოვნა, რომლებიც ასეთ ადგილებს შეესაბამება. მკვლევართა განცხადებით, ეს მეთოდი უფრო სწრაფი და ინტუიციურია, ვიდრე ცილების შესწავლის ტრადიციული მეთოდები, მაგალითად, მოლეკულური მოდელირება. მათივე თქმით, თუკი წვეტი ცილების მუსიკალურ მიმდევრობას შევადარებთ სხვა სონიფიცირებულ ცილათა უფრო დიდ მონაცემთა ბაზას, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ვიპოვოთ ის ადგილი, საიდანაც შესაძლებელი იქნება ამ წვეტების განვიტრიალება და შესაბამისად, ვირუსისთვის უჯრედში შეღწევის უნარის წართმევა.

რაც შეეხება ინსტრუმენტებს, ისინი მთლიანად მკვლევართა გემოვნებით არის შერჩეული. მთავარ ნოტებს უკრავს იაპონური სიმებიანი ინსტრუმენტი კოტო, რომელიც იმდენად სასიამოვნო ზეგერებს გამოცემს, რომ ამ ცუდ პერიოდში შეიძლება ერთგვარი სიამოვნებაც მოგვაროთ.

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
 ბ. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5  
 ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი  
**საბარტაძე თოზულია**  
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
**გურამ გომიაშვილი**  
 599 53-76-16;  
**ალექო ასლანიშვილი**  
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
**მამუკა ვაშაქიძე**  
 514 33-33-24

## ჩვენ ერთმანეთს ისევ შევხვდებით



**გაბრიელა ნინაშვილი** სამედიცინო დედაფალმა ელისაბედ მეორემ ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით მოსახლეობას მიმართა. ეს ისტორიის განმავლობაში დედოფლის მესამე სპეციალური მიმართვაა.

ელისაბედ მეორემ მადლობა გადაუხადა ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე ყველა ადამიანს, მოხალისეებს და თითოეულ ბრიტანელს, რომელიც სახლში რჩება და ამით ვირუსის გავრცელებას უშლის ხელს.

„არაერთი გამოწვევის წინაშე ვმდგარვართ, მაგრამ ეს განსხვავებულია. ჩვენ მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ერთად ვდგავართ ამ გამოწვევის წინაშე. ჩვენ გავიმარჯვებთ. უკეთესი დღეები დაბრუნდება. ჩვენ ისევ შევხვდებით მეგობრებს, ოჯახის წევრებს, ჩვენ ერთმანეთს ისევ შევხვდებით“, — განაცხადა დედოფალმა ვიდეომიმართვის დროს.

## ვირუსის სანიტარული პირობები

ისრაელის ქალაქ ნეს-ციონის ბიოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერებმა კორონავირუსის სანიტარული პირობები შექმნეს, რაც დაავადების დამარცხებას აახლოებს.



მკვლევრების განცხადებით, ვაქცინა მათ ჯერ არ შეუქმნიათ, თუმცა ანტისხეულების აღმოჩენა ვაქცინაციისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს და ახლა კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატი შესაძლოა უფრო მალე შეიქმნას. მათივე ცნობით, ანტისხეულები გამოჯანმრთელებული პაციენტების სისხლის ნიმუშებიდანაა აღებული.

## საქართველოს კაპიტანს კორონავირუსი დაუდგინდა

ამერიკელი ავიამზიდის „თეოდორ რუზველტის“ კაპიტანს ბრეტ კროიზერს, რომელიც განგაშის ატეხვის გამო გაათავისუფლეს, კორონავირუსი დაუდგინდა. შეერთებული შტატების საზღვაო ძალებმა აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა.

შტატების საზღვაო ძალებმა სამხედრო ავიამზიდი „თეოდორ რუზველტის“ კაპიტანი გემიდან დაითხოვეს მას შემდეგ, რაც კაპიტანმა გემზე კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით განგაში ატეხა. საზღვაო ძალების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ტომას მოდლიმ თქვა, რომ კაპიტან ბრეტ კროიზერს გემის კაპიტანის პოსტზე ადამირალის მიერ შერჩეული კარლოს სარდიელის შეცვლის.

„უფრო მოქნილი და უფრო მეტად შეუპოვარი მენეჯერული უნარით მართვადობის რგოლში“, — თქვა მოდლიმ პენტაგონში ჟურნალისტებთან საუბრისას.

„ჩვენ გვჭირდება მეთაურები, რომლებსაც განსჯის კარგი უნარი, სიბრძნე და ზეწოლის ქვეშ ლიდერობის გამოვლენის დემონსტრირება შეუძლიათ. გვინდა ეს მოდელი მათი მოქმედებების შედეგები უფრო დიდ სტრატეგიულ კონტექსტში“, — დასძინა მან. მოდლიმ თქვა, რომ კროიზერს საზღვაო ძალებიდან არ გაუშვებენ, თუმცა მან გემის კაპიტანის მიმართ „ნდობა დაკარგა“.

კაპიტანმა კროიზერმა მის ხელმძღვანელობას წერილი გაუგზავნა, რომელშიც მათ „გადამწყვეტი ნაბიჯების“ მიღებას სთხოვდა მომავალდინებელი კორონავირუსის გემზე გავრცელების შესაჩერებლად. წერილმა მოგვიანებით პრესაში გაჟონა. საზღვაო ძალების ხელმძღვანელობა გემ „თეოდორ რუზველტზე“ მყოფი, დაახლოებით, 5 000 მეზღვაურის ჯანმრთელობის შეფასებას ცდილობს. გემზე 110 მეზღვაურს კორონავირუსი დაუდასტურდა. პენტაგონი აცხადებს, რომ დაახლოებით 1000 მეზღვაური უკვე გადმოიყვანეს გემიდან. მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში იგეგმება 2700 მეზღვაურის გამოყვანა. ავიამზიდზე 5000-დან, სულ ცოტა, 1000 მეზღვაური უნდა დარჩეს იმისთვის, რომ გემმა „კრიტიკული ფუნქციონირება“ გააგრძელოს.



## ვეფხვის დაკვლევა

ნიუ იორკში, ბრონქის ზოოპარკში ვეფხვს ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) დაუდასტურდა. ვეფხვს, სახელად ნადიას, ასევე მის დას, აზულს, კიდევ ორ ვეფხვს და სამ აფრიკულ ლომს ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები ჰქონდათ. ცხოველებს მადა დაუქვეითდა.



ზოოპარკის ადმინისტრაციის ვარაუდით, მათ ვირუსი მომვლელისგან გადაეღოთ, რომელიც ამ დრომდე უსიმპტომოა.



## პრემიერი - კვირაში ერთი დღით აქიმი

ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ლეო ვარადკარი კვირაში ერთი დღე ექიმად იმუშავებს და მედიკოსებს ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარება.

ვარადკარს სამედიცინო განათლება აქვს. ის შვიდი წლის განმავლობაში ექიმად მუშაობდა. გავრცელებული ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი ექიმთა მონაცემთა ბაზაში უკვე დარეგისტრირდა. პრემიერი უკვე ეხმარება ინფიცირებულებს სატელეფონო კონსულტაციით.

## საპალაო სტატისტიკა

ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში კორონავირუსით დაღუპულთა რიცხვა 54 458-ს მიაღწია. მსხვერპლთა თითქმის ნახევარი კვლავინდებურად 2 ქვეყანაზე მოდის. ესენია იტალია (15 887) და ესპანეთი (12 641). აშშ-ში ამ დროისთვის 9 618 ადამიანი გარდაიცვალა, საფრანგეთში — 8 078, ჩინეთში კი — 3 3331. მსოფლიოში ვირუსით სულ 1 273 720 ადამიანი დაინფიცირდა, 262 486 კი გამოჯანმრთელდა.

**უსტოპრი ვალუტის კარსი:**  
 აშშ დოლარი - 3.1576; ევრო - 3.4134;  
 ბრიტანული პირაპნა სტერლინგი - 3.8782;  
 100 რუბლი - 4.1072; თურქული ლირა - 0.4701;  
 აზერბაიჯანული მანათი - 1.8574;  
 1000 სომხური დრამი - 6.3104.

**აპრილი 7 აპრილისთვის**

<b>აღმოსავლეთი საქართველო:</b>			
ბარსი -	ლავი	+1,	ფლე +10
თიანე რაიონები -	ლავი	-4,	ფლე +11
<b>დასავლეთი საქართველო:</b>			
ბარსი -	ლავი	+1,	ფლე +14
თიანე რაიონები -	ლავი	+3,	ფლე +11
თბილისი:	ლავი	+6,	ფლე +16

**დაგვიკავშირდით, მოგვწერეთ:**  
 ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84  
 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
 და sakresp@top.ge  
 ვებ-გვერდი: www.sakresp.ge